



გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული
ხელოვნების ისტორიისა და ეგლისა დაცვის მუზეუ-
მუზიკური პრესტიჟი

2016 წელს განხორციელებული საქმიანობის

ანგარიში





პრეამბულა

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი დაარსდა 2005 წელს საქართველოს პრეზიდენტის 12 დეკემბრის განკარგულებით, გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტისა და ს. ქობულაძის სახელობის ხელოვნების ძეგლთა ფოტოფიქსაციის ლაბორატორიის გაერთიანების საფუძველზე.

2008 წლის 24 სექტემბერს დამტკიცდა გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის წესდება, რომელშიც განსაზღვრულია ცენტრის სტრუქტურა, მიზნები და ფუნქციები:

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის (ძველი, ახალი და თანამედროვე ხელოვნების) მეცნიერული კვლევა, მისი პოპულარიზაცია, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა საკონსერვაციო პროგრამების შემუშავება და განხორცილებული პროექტების ექსპერტიზა; საინვენტარიზაციო-სააღრიცხვო საქმიანობა; ძეგლების ფოტოფიქსაცია; საგანმანათლებლო საქმიანობა; საზოგადოების ინფორმირება; საკონსერვაციო და კვლევითი მეთოდოლოგიის შემუშავება; სახელმწიფოს დახმარება კულტურული მემკვიდრეობის სფეროში პოლიტიკის შემუშავებაში, კერძოდ:

- ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევები კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ისტორიის სფეროებში;
- კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაცია (სამეცნიერო და პოპულარული გამოცემები, გამოფენები, ვებ-გვერდები, ტურისტულ-საინფორმაციო გამოცემები; მედია პროდუქცია და სხვ.);
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებისა და სრულყოფისათვის მეცნიერულად

დასაბუთებული თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება;

- კულტურული მემკვიდრეობის (ძველი, ახალი და თანამედროვე ხელოვნების) ობიექტების ფიქსაცია და ინვენტარიზაცია (მოძრავი და უძრავი ძეგლების პასპორტების შედგენა), კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაციისა და დოკუმენტაციის დიგიტალიზაცია, დაკომპლექტება და არქივირება;
- ხელოვნების ნაწარმოებთა ფასეულობების (ობიექტების) ექსპერტიზა მათი კულტურული ღირებულებების დადგენის მიზნით;
- კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების (როგორც მოძრავი, ასევე უძრავი) სარესტავრაციო-საკონსერვაციო პროექტებისა და მათი განხორციელების სამუშაოების ექსპერტიზა და მონიტორინგი.
- სასწავლო და საგანმანათლებლო პროცესებში მონაწილეობა (საშუალო სკოლა, უმაღლესი სასწავლებლები, სამაგისტრო კურსები);
- კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებების ფოტოფიქსაცია, დოკუმენტირება, არქივირება და სხვ.
- საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო შეკრებების მოწყობა და მონაწილეობა საქართველოში და საზღვარგარეთ;
- გ. ჩუბინაშვილის ცენტრთან არსებული ს. ქობულაძის სახ. ძეგლთა ფიქსაციის ფოტო-ლაბორატორია აწარმოებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებთა ფოტოფიქსაციასა და დიგიტალიზაციას. ლაბორატორიაში ინახება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებთა უნიკალური ფოტო-ასახულობანი (სლაიდები, დიგიტალური გამოსახულებანი).

გიორგი ჩუბაინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის მროვლული პრემიი ცენტრი

ცენტრის დირექტორი – მარიამ დიდებულიძე, ხელოვნებათმცოდნეობის
დოქტორი

პერსონალური შემადგენლობა:

ადმინისტრაცია:

1. ლევან ზედგინიძე – დირექტორის მოადგილე
2. იზა ბუკიძე – ფინანსური მენეჯერი
3. ვალიდა სიმსივე – კანცელარიის გამგე
4. ნანა დარიბაშვილი – საქმის მწარმოებელი

ცენტრის სამეცნიერო მუშაობას წესდების შესაბამისად წარმართავს
სამეცნიერო საბჭო 11 კაცის შემადგენლობით. სამეცნიერო საბჭოს
თავმჯდომარე - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფ. დიმიტრი
თუმანიშვილი; თავმჯდომარის მოადგილე - ხელოვნებათმცოდნეობის
დოქტორი მზია ჯანჯალია; სამეცნიერო საბჭოს მდივანი
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი თამარ ბელაშვილი.

ცენტრის სტრუქტურა:

სამეცნიერო ნაწილი – ორი განყოფილება:

- ძელი ხელოვნების განყოფილება (განყოფილების გამგე
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი – დავით ხოშტარია);
- თანამედროვე ხელოვნების განყოფილება (განყოფილების გამგე
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი – მარინა გაჩეჩილაძე);
- არქივისა და ბიბლიოთეკის სექტორი (გამგე – გურამ ულენტი);
- ძეგლთა აღწერილობისა და სამეცნიერო ინფორმაციის ჯგუფი
(ხელმძღვანელი ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი – თამაზ დვალი).
- ს. ქობულაძის სახ. ხელოვნების ძეგლთა ფოტოფიქსაციის
ლაბორატორია (გამგე - მარინა ფანცხავა).

ძველი ქართული ხელოვნების განყოფილება

1. დავით ხოშტარია - განყოფილების გამგე
2. დიმიტრი თუმანიშვილი - მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
3. ლეილა ხუსკივაძე - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
4. კირი მაჩაბელი - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
5. თამაზ სანიკიძე - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
6. ნინო ჭიჭინაძე - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
7. იუზა ხუსკივაძე - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

8. ირინე ელიზბარაშვილი - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
9. ასმათი ოქროპირიძე - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
10. მზია ჯანჯალია - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
11. მარინე ბულია - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
12. ნინო გომელაური - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
13. თამარ ხუნდაძე - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
14. მარინე ყენია - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
15. მანანა სურამელაშვილი - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
16. ციცინო ჩაჩხუნაშვილი - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
17. ქეთევან მიქელაძე - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი
18. მარიამ გაბაშვილი - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
19. ეკატერინე კვაჭატაძე - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
20. ეკატერინე გელევანიშვილი - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
21. გიორგი ჭანიშვილი - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
22. ქეთევან აბაშიძე-დადიანი - მეცნიერი თანამშრომელი
23. თინათინ ხოშტარია - მეცნიერი თანამშრომელი
24. გიორგი პატაშური - მეცნიერი თანამშრომელი
25. ნათია ნაცვლიშვილი - მეცნიერი თანამშრომელი
26. თამარ დადიანი - მეცნიერი თანამშრომელი
27. ნინო ციციშვილი - მეცნიერი თანამშრომელი
28. მანონ ლილუაშვილი - მეცნიერი თანამშრომელი
29. დავით ჩიხლაძე - მეცნიერ თანამშრომელი
30. ირინა მანია - მეცნიერი თანამშრომელი
31. ქრისტინე საბაშვილი - მეცნიერი თანამშრომელი
32. ნატალია ჩიგიშვილი - მეცნიერი თანამშრომელი
33. ქეთევან ჯანანაშვილი - მეცნიერი თანამშრომელი
34. თამარ ხოსროშვილი - მეცნიერ თანამშრომელი
35. ნოდარ არონიშიძე - მეცნიერ თანამშრომელი

თანამედროვე ხელოვნების განყოფილება:

1. მარიამ გაჩეჩილაძე - განყოფილების გამგე
2. სამსონ ლექავა - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
3. გიორგი ხოშტარია - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
4. მარინე მექმარიაშვილი - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
5. თამაზ გერსამია - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
6. ლალი ანდრონიკაშვილი - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
7. მაია ციციშვილი - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
8. მაია მანია - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
9. ნანა მირცხულავა - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
10. მარიანა ოკლეი - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
11. მზია ჩიხრაძე - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
12. ელენე თუმანიშვილი - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
13. სოფიო ჩიტორელიძე - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი
14. ცისია კილაძე - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
15. თეა ტაბატაძე - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი
16. დალი ლებანიძე - მეცნიერ თანამშრომელი

17. ნინო ჭინჭარაული - მეცნიერ თანამშრომელი
18. გიორგი პაპაშვილი - მეცნიერ თანამშრომელი
19. ნათია ებანოძე - მეცნიერი თანამშრომელი

შტატგარეშე პერსონალი

1. ვლადიმერი ოვსი - პროგრამისტი
2. თეა ხვედელიძე - დამლაგებელი
3. ლია წილოსანი - კონსულტანტი
4. მზია ბაქრაძე - არქივარიუსი
5. მარინე მაისურაძე - მთარგმნელი
6. მალხაზ არველაძე - ტექნიკური ზედამხედველობის სპეციალისტი
7. ნინო ჭოლოშვილი - უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
8. ეთერ ედიშერაშვილი - მეცნიერ-თანამშრომელი
9. ნუგზარ ალხაზაშვილი - მეცნიერი თანამშრომელი
10. ნანა ყიფიანი - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

არქივი და ბიბლიოთეკა

1. გურამ ედუნტი - საარქივო-საბიბლიოოთეკო სექტორის გამგე
2. დალი მუხაძე - უფროსი ბიბლიოოთეკარი
3. აზა ლობჯანიძე - არქივარიუსი
4. ბაადურ ქუპრეიშვილი - არქივარიუსი
5. გალერი კალანდაძე - ბიბლიოოთეკარი
6. ირმა მამასახლისი - ბიბლიოოთეკარი

ძეგლთა აღწერილობისა და სამეცნიერო ინფორმაციის ჯგუფი:

1. თამაზ დვალი - ჯგუფის ხელმძღვანელი
2. ფლერ დევდარიანი - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი

ხელოვნების ძეგლთა ფოტოფიქსაციის ლაბორატორია

1. მარინე ფანცხავა - ლაბორატორიის გამგე
2. მზია პეტაშვილი - უფროსი არქივარიუსი
3. მზია კალანდაძე - დიგიტალიზაციის სპეციალისტი

ცენტრის სტაჟიორები

1. ესმა ტყებუჩავა
2. სოფიო გაგოშიძე
3. სალომე ბუკიძე
4. თემურ ქანთარია-ჯაბადარი
5. კონსტანტინე ბოლქვაძე
6. გეა გეგუა

2016 წელს ცენტრში ირიცხებოდა 84 თანამშრომელი: 10 მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, 28 უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, 23 მეცნიერ თანამშრომელი; ადმინისტრაცია და დამხმარე პერსონალი – 23; ასევე – 9 ასოცირებული თანამშრომელი.

2016 წელს ცენტრში სტაჟირებას გადიოდა 6 ახალგაზრდა მეცნიერი.

2016 წელს გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის სამცნიერო საქმიანობა წარიმართა შემდეგი მიმართულებებით:


1. წინაქრისტიანული ხანის ხელოვნება
2. შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრება
3. შუა საუკუნეების ქვისა და ლითონის ქანდაკება
4. შუა საუკუნეების კედლის მხატვრობა
5. შუა საუკუნეების ხატწერა და მინანქრის ხელოვნება
6. პატრონაჟი, კულტი და ხელოვნება
7. კულტურათა დიალოგი
8. ახალი და თანამედროვე სახვითი ხელოვნების განვითარების გზა
9. ქართული სცენოგრაფია
10. ახალი დროის ქართული არქიტექტურა
11. საარქივო მასალის დამუშავება და კვლევა.
12. კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაცია-რესტავრაცია – კვლევა, შეფასება. მონიტორინგი

1.1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2016 წლისთვის დაგენერირებული და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

Nº	შესრულებული პროექტის დასახელება	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	შუა საუკუნეების ხელნაწერების ჭედური ყდების ორნამენტი		ლეილა ხუსკივაძე



ნაშრომში განხილულია შუა საუკუნეების ხელნაწერების ჭედური ყდების ორნამენტი XIII.-დან დაწყებული XVIII-XIX სს.-ის ჩათვლით. ანხორციელებული კვლევის საფუძველზე გამოვლენილია მათი ძირითადი მხატვრული მახასიათებლები და ცვლილებები, თანადროული ჭედური ორნამენტის განვითარების სხვადასხვა ეტაპისთვის.

2	ოსტატთა თვითრეპრეზენტაცია და შუა საუკუნეების ქართული ლიტერგიკული ხელოვნების ქმნილებები		ნინო ჭიჭინაძე
	ნაშრომში გაანალიზებულია შუა საუკუნეების ქართული ლიტერგიკული ხელოვნების ქმნილებების ოსტატთა თვითრეპრეზენტაციის მიზეზები, მიზნები, ფორმები და გზები. ტექსტური და ვიზუალური მასალის შესწავლის საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება ოსტატთა საზოგადოებრივ-კულტურულ სტატუსა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნაში მათი ფინანსურ-მატერიალური მონაწილეობისა თუ თანამონაწილეობის შესახებ.		
3	კირანცის ტაძრის (ჩრდილოეთი სომხეთი) ეროვნული სახის ძიებისათვის და მისი მიმართება XII- XIV სს-ის ჯვარგუმბათოვანი ეკლესიების მშენებლობასთან საქართველოსა და სომხეთში.		ქეთევან აბაშიძე-დადიანი
		XII-XIV სს.-ში საქართველოსა და სომხეთში ნაგები ჯვარგუმბათოვანი ეკლესიების ონოლოგიურ მონაკვეთს მოიცავს, გამორჩეული პრობლემატიკით და საკვლევ საკითხთა ნაირგვარობით ხასიათდება. კირანცის ტაძარი ამ პერიოდის ეკლესიების მშენებლობის ქრონოლოგიურ ჯაჭვში ერთ-ერთი მეტად საინტერესო რგოლია, რომელიც მხატვრულ და არქიტექტურულ-კონსტრუქციულ ფორმებში ასახავს სხვადასხვა ტენდენციებსა და გავლენებს, რაც მჭიდროდ უკავშირდება ამ პერიოდის ქართული სამყაროს ურთიერთობებს მეზობელ სომხეთთან, აღმოსავლეთის ქვეყნებთან და ბიზანტიასთან. საკვლევი არეალის მეტი მკაფიოებისათვის ნაშრომში აღნიშნული ტაძარი გაანალიზებულ, შედარებ და გააზრებულ იქნა ისეთი ძეგლების კვალდაკვალ, როგორიცა: ჰუჯაბი, კირანცი, ახტალა, ქობაირი, აქორი და ჰენე-ვანქი.	
4	თინა ვირსალაძის „წრომის მოზაიკის“ თარგმნა რუსულიდან ქართულ ენაზე, კომენტარებით		ასმათ ოქროპირიძე
	ქართულად ითარგმნა თ.ვირსალაძის რუსულენოვანი ნაშრომი „Цромская мозаика“ („წრომის მოზაიკა“). თარგმანს მეტი სისრულისთვის თან ერთვის განმარტებები და კომენტარები.		
5	გ. ჩუბინაშვილის "ცრომი" - კომენტირებული თარგმანი		დიმიტრი თუმანიშვილი
	ქართულად ითარგმნა გ. ჩუბინაშვილის რუსულ ენაზე დაწერილი წიგნი „ცრომი“ („წრომი“). თარგმანს თან ერთვის დღევანდელი მკითხველისათვის აუცილებელი განმარტებითი თუ ბიბლიოგრაფიული შენიშვნები.		

6	გვიანი შუა საუკუნეების ახლად გამოვლენილი სადგომები ლ-გუდიაშვილის მოედნის მიმდებარე არეალში		მანანა სურამელაშვილი
		სამეცნიერო თემის მიზანი იყო გასულ წელს „ლ-გუდიაშვილის მოედნის მიმდებარე არეალის კონსერვაციის გეგმის“ დამუშავების პროცესში გამოვლენილი, მანამდე უცნობი სიძველეების შესწავლა. კვლევის ობიექტად შერჩეულ იქნა ლ-ასათიანის ქ. 9 საცხოვრებელი სახლი და მისი სარდაფი, ლ-გუდიაშვილის მოედანი 2, სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი შენობის სარდაფთან დაკავშირებული, სავალი ტროტუარის ქვეშ მოქცეული სარდაფის მცირე სადგომი და გ.ზბესაძის ქ. 21 შენობის ქვედა სართულში მიკვლეული მეტად საყურადღებო, ორსადგომიანი სარდაფი. ადნიშნულ ნაგებობათა შესწავლამ ნათელი გახადა ყოველ მომდევნო სამშენებლო ეტაპზე ძველი სტრუქტურების ახალ ნაგებობებში ჩართვისა და გამოყენების დიდი გამოცდილება; ეს კი, შენობათა ფორმირების პროცესის თვალის გადევნების საშუალებას იძლევა XVI–XVIII ს. -დან მოყოლებული XIX ს.-ის ჩათვლით და ადასტურებს თბილისის ურბანულ მემკვიდრეობაში სიძველის დაცვა-შენარჩუნების მყარი სამშენებლო ტრადიციის არსებობას.	
7	ორნამენტულ წნულში ჩაწერილი ზოომორფული ფიგურები ქართულ საფასადე სკულპტურაში		ქრისტინე საბაშვილი
		თემა ეხება ზოომორფული ფიგურებით “დასახლებულ” ორნამენტულ წნულებს, რომლებიც უხვად გვხვდება ქართული ქვაზე კვეთილობის ნიმუშებში (განსაკუთრებით X-XI სს-ში). საქართველოში არსებული ძირითადი მასალის გარდა (გორისუბანი, გომარეთი, ფიტარეთი, ნიკორწმინდა, რუსი, ხეოთი, ვალე, ოშკი და ა.შ) პარალელებად და, ზოგადად, ამგვარი სახის გამოსახულების გენეზისის დასადგენად წარმოვადგენ მასალებს საკმაოდ ფართო არეალის მომცველი გეოგრაფიული გარემოდან (ჩინეთიდან და ირანიდან მოყოლებული ლევანტის ქვეყნების და დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ჩათვლით) გვიანანტიკური-ადრებიზანტიური პერიოდიდან XI ს-მდე. გარდა რელიეფური გამოსახულებებისა პარალელურ მასალად წარმოდგენილია იატაკის მოზაიკა, ფერწერა, ტექსტილი, სპილოს ძვალი...	
8	იქვის წმ. გიორგის ეპლეხიის მოხატულობაში ასახული ვნების ციკლი და მისი კავშირი საღთისმეტყველო ქამათთან		ებატერინე გედევანიშვილი
	ნაშრომში საბოლოოდ განირჩა იქვის მოხატულობათა ფენები. გამოჩნდა წმ. გიორგის ცხოვრების ციკლის ახალი იკონოგრაფიულ - სიმბოლური ასპექტები.		

9	დავითგარეჯის უდაბნოს მონასტრის მოწამეთას ეკლესიის მოხატულობა – ისტორიოგრაფია, იქონოგრაფია, თეოლოგიური პროგრამა		თინათინ ხოშტარია
	ძეგლი გამორჩეულია მრავალი ნიშნით. საქართველოში სამარტვილე ეკლესიის მოხატულობის პირდაპირი იკონოგრაფიული პარალელი ჩვენ ვერ მოვიძიეთ და ძნელი წარმოსადგენია, რომ გარეჯის სამხატვრო სკოლაში შექმნილ სამარტვილის იკონოგრაფიული სქემის მსგავს პროგრამას მსოფლიო ხელოვნების ნიმუშებში მოეძებნებოდეს უშუალო ანალოგი.		
	როგორიცაა უფრო ღრმა კვლევის ჩატარება, იკონოგრაფიული პარალელების მოძიება და ზოგადად სამარტვილეთა მოხატვის განვითარების ეგოლუციის დანახვა. ამასთანავე, ბიზანტიის, სირია-პალესტინის და ეგვიპტური სამარტვილე ეკლესიების მოხატულობებიც, ხატმებრძოლების დროს განადგურების გამო, ძალიან მცირე რაოდენობით და ისიც ფრაგმენტებად არის შემონახული.		
10	არქიტექტურა და იდენტობა: კათოლიკური ეკლესიები საქართველოში		ნათია ნაცვლიშვილი
		ნაშრომში, საველე სამუშაოების შედეგებისა და ვრცელი საარქივო მასალის დამუშავების საფუძველზე, განხილულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მდებარე კათოლიკური ეკლესიების არქიტექტურა, მათი მშენებლობის ისტორია და მიმართება ეთნიკურ და რელიგიურ იდენტობასთან.	
11	წმიდა ნინოს ციკლი წმიდა ნინოს ჯვრის ჭედურ ჩასასვენებელზე		თამარ ხოსროშვილი
	ქართველთათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიწმინდე წმინდა ნინოს ჯვრი 1802 წ.-დან მოყოლებული თბილისის სიონის ტაძარშია დაბრძანებული. ჯვარს სპეციალურად მისთვის დამზადებული ვერცხლის ჭედური ჩასასვენებელი აქვს, რასაც ეძღვნება ეს ნაშრომი.		
	ჩასასვენებლის ზურგზე საქტიტორო წარწერაა, რომელშიც მეფე ვახტანგია მოხსენიებული, თუმცა არ არის მითითებული რომელ ვახტანგზეა საუბარი. პ. იოსელიანის აზრით, აქ მოხსენიებული ვახტანგი შესაძლოა იყოს ვახტანგ მეორე, ვახტანგ მესამე ან ვახტანგ მეოთხე. ისტორიკოსი კ.		
	ბუბულაშვილი კი, ჯვრის ჩასასვენებელზე ნახსენებ მეფე ვახტანგს შაპნავაზთან აიგივებს. თუმცა, რიგი ნიუანსები და უპირველესად კი ჯვრის ჩასასვენებლის ზედაპირზე არსებულ გამოსახულებათა სტილისტური მახასიათებლები ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის პერიოდს გვაფიქრებინებს.		
12	IX-XIII საუგუნეების გარეჯის მრავალმთის უძველესი		დათო ჩიხლაძე

	მონასტრების მნიშვნელოვანი ნაწილის არქიტექტურული ფორმირების თავისებურების შესახებ		
	გარეჯის მრავალმთის სამონასტრო არქიტექტურის ერთ-ერთი ნიშანი ნაგები ხუდოთმოძღვრული ფორმულების ახლებურად გააზრება. მსგავს თემათი რიცხვს განეკუთვნება სადაყუდებულო კომპლექსის სტრუქტურაში ლიტურგიული სივრცის, საკურთხევლის ნაოსის გარეშე ინტეგრაციის საკითხი. კვლევის პროცესში გამოიკვეთა უძველესი ნიმუშები, განვითარების ძირითადი ხაზი, მისი განშტოებები, გარკვეული ქრონოლოგიური ჩარჩოები, რის შედეგადაც გამოჩნდა, რომ კომპლექსის კომპონირების ასეთი გადაწყვეტა არა გარედან შემოტანილი ხერხი, არამედ გარეჯის ადრეული პერიოდის მონასტრების სადაყუდებულო კომპლექსების სტრუქტურირების ორიგინალური გადაწყვეტაა.		
13	სუჯუნის წმიორგის ეკლესია და სამრეკლო		მანონ ლილუაშვილი
14	სერგო ქობულაძის არქივზე მუშაობა და გამოვლენილი მასალების კლასიფიკაცია.		მარიამ გაჩეჩილაძე
15	მიმდინარე წელს ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა მხატვარ სერგო ქობულაძის ოჯახში დაცული მხატვრის პირადი არქივის დამუშავებისა და შესწავლისათვის. განხორციელდა არქივში არსებული მასალის ნაწილობრივი კლასიფიკაცია, დახარისხდა წერილობითი მასალები. დასკანერდა როგორც დოკუმენტაციის ნაწილი ფოტო-ნეგატივები. გადარჩეული მასალის საფუძველზე კი მომზადდა და გამოიცა წიგნი „უცნობი სრგო ქობულაძე“.		



ნაშრომში განხილულია ფართო საზოგადოებისათვის ოდნავ მივიწყებული მხატვრის იურა გეგეშიძის შემოქმედება. ამ სცენოგრაფის ხელოვნება XX ს.-ის ქართული თეატრის მხატვრობის განვითარების ძირითად ტენდენციებს ამჟღავნებს და ნათელი მაგალითია რაოდენ მნიშვნელოვანია მხატვრის როლი სპექტაკლის

კონცეფციის ვიზუალიზაციაში, ამასთან მისი სახოვანების წარმოჩენაში. იურა გეგეშიძე „60-იანებთა“ წარმომადგენელია. ნიჭიერი ფერმწერი ზუსტად ფლობდა სპექტაკლის სტრუქტურას - დრამატურგიულ და პლასტიკურ ენას. შამწუხაროდ მისი დახვეწილი, ნატიფი მხატვრული მექანიდრეობა, დროულად სათანადოდ არ იყო შეფასებული. ამ ნაშრომში ჩვენ ვეცადეთ შეფასება მიგვეცა იურა გეგეშიძის შემოქმედებისათვის და წარმოგვეჩინა მისი ადგილი არა მხოლოდ ქართულ სცენოგრაფიაში, არამედ ზოგადად თავისი დროის ქართული სახვითი ხელოვნების კონტექსტში.

16	ქართული სოციალისტური რეალიზმის საწყისები და მხატვრული იდენტობის ძიება		მზია ჩიხრაძე
17	„არ დეკოს“ სტილის ტრანსფორმაციის საკითხისათვის საბჭოთა ხანის ხელოვნებაში		ნანა მირცხულავა
	<p>ევროპული ხელოვნების ბევრ მხატვრულ მიმდინარეობებისაგან განსხვავებით, XX ს.-ის ხელოვნების უკანასკნელი შემაქავშირებელი სტილი არ-დეკო თავიდანვე ჩამოყალიბდა, როგორც წმინდა დეკორატიული სტილი (ქართული მხატვრული ხედვისთვის ორგანული არსობრივი ნიშანი). განვითარების გარკვეულ ეტაპზე, სხვადასხვა ისტორიული ტრადიციების და განსხვავებული პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში მყოფი ქვეყნების ხელოვნება არ-დეკოს ესთეტიკით საზრდოობდა (თვალნათლივ იკვეთება ქართულ ხელოვნებაშიც). ვმუშაობ არქივში. მოვიძიე სათანადო ფოტო-მასალა. პერიოდულ გამოცემებში გაბნეული ცნობები. ვამუშავებ მოძიებულ მასალას.</p>		


18	არქეტიპული სახე-ხატები მერაბ აბრამიშვილის მხატვრობაში		ნათია ებანოიძე
	 <p>მერაბრამიშვილის შემოქმედების შესახებ არსებულ მცირერიცხოვან სახელოვნებათმცოდნეო ტექსტებში გხვდებით შენიშვნებს მისი სახვითი ენის „წარსულის ხელოვნების, რელიგიისა თუ მითის გათვალისწინებით“, არქეტიპულობაზე დაფუძნებულობის, მისი მხატვრული სამყაროს არქეტიპული სახეებით დატვირთულობის შესახებ, „იმ საწყისზე, რომელიც მითიურ და რელიგიურ კოსმოგონიას გულისხმობს“. კონკრეტულად რა სახის არქეტიპებზე თუ არქეტიპულობაზეა საუბარი? რას წარმოადგენს და რგორ ფუნქციონირებს ეს ხატი-სიმბოლოები“, „სახე-სიმბოლოები“? აქვთ მათ ამ მხატვრობაში სიმბოლური მნიშვნელობა, თუ მოქმედებენ როგორც მხოლოდ „ფორმულები“, „პიქტოგრამები“?</p> <p>ზემოთაღნიშნული ტექსტები მხატვრის ალბომზე დართული წერილებია და ამდენად, აღნიშნული თემის ძირებულ კვლევას არ წარმოადგენს. მიზანშეწონილად მივიჩნიე კონკრეტულ ცნებებზე-არქეტიპზე, სიმბოლოზე და აბრამიშვილის მხატვრობაში მათი ადგილისა და ფუნქციის საკითხზე შეჩერება და ყურადღების გამახვილება. ნშრომში, ამ კუთხით, განხილულია ცალკეული თემები და მოტივები, როგორიცაა ცხოველების, მცენარეებისა და სამოთხის გამოსახულებები.</p>		
19	გურამ (ხიტა) ქუთათელაძის შემოქმედება		სამსონ ლეჟავა
	<p>ნაშრომში განხილულია გურამ (ხიტა) ქუთათელაძის შემოქმედების ძირითადი მახასიათებლები. გაანალიზებულია მხატვრის პეიზაჟთა მრავალფეროვანი, უაღრესი სიფაქიზით გამორჩეული ნიმუშები – როგორც პანორამული, მონუმენტური, კრებითი ხასიათისა, ისე უფრო ლირიკულ-კამერული დამხრობისა. ნაჩვენებია მისი ფერწერის ერთი მხრივ, მჟღერი, ინტენსიური, მეორე მხრივ-თავდაჭრილი, „მოთოკილი“ ხასიათი. წარმოჩენილია მხატვრის ამ რიგის ნიმუშთა „პალიმფსესტურობა“. ნატურმორტთა ანალიზისას გამოკვეთილია კონსტრუქციულ-ტექტონიკური საწყისისა და კოლორისტიკის მხრივ ამოუწურავი ნიუანსირებულობის სინთეზირება. გაანალიზებულია ფიროსმანაშვილის სერია, მის შემოქმედებაში. ამ „თემის“ წარმოჩენამ სრულებით განსაკუთრებული სილამაზე შესძინა მხატვრის შემოქმედებით დანატოვარს.</p> 		

20	ჯოვანი სკუდიერის შემოქმედება		თამაზ გერსამია
		ნაშრომში შესწავლილი, განხილული და თავმოყრილია მასალა ჯოვანი სკუდიერის შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესახებ. ჯოვანი სკუდიერი, ეროვნებით იტალიელი, XIX საუკუნის თბილისის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო არქიტექტორი იყო. თბილისში, მისი პროექტით აშენდა: თეატრი ახლანდელ თავისუფლების მოედანზე, რომელიც იყო პირველი საგანგებო სათეატრო ნაგებობა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს კავკასიაში; ყოფ. მიხეილის (ჩუღურეთის) ხიდი – პირველი ქვის ხიდი თბილისში მდინარე მტკვარზე; „კეთილშობილთა საკრებულოს“ სახლი, კერძო საცხოვრებელი სახლები. აგრეთვე იგი ავტორია რამდენიმე საკულტო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობის რეკონსტრუქციისა. დასაზუსტებელი იყო და დადგინდა არქიტექტორის დაბადების ზუსტი თარიღი, ოდესაში მოღვაწეობის პერიოდი. გარდა ამისა, კვლევის შედეგად შესაძლებელი გახდა მისი ჩვენთვის უცნობი ნამუშევრების გამოვლენა.	
21	მოსე თოიძის შემოქმედება		მარინე მექმარიაშვილი
	ნაშრომში განხილულია მოსე თოიძის შემოქმედება, ცხოვრება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. მ.თოიძე ახალი ქართული ფერწერის ერთ-ერთი ფუძემდებელია. ის ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც საქართველოში პროფესიული სამხატვრო განათლების შექმნისთვის იღწვოდა. მუშაობდა საყოფაცხოვრებო, ისტორიული, პორტრეტის, პეიზაჟის ჟანრში. მ.თოიძის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია შინაარსითა და მხატვრული ფორმით მრავალფეროვანი და წინააღმდეგობრივი ნაწარმოებების თანაარსებობა. ამასთან, მასთან იკვეთება იმპრესიონისტული, პოსტიმპრესიონისტული, ფოვიზმის, მოდერნისა თუ ნაბისტების მხატვრული მახასიათებლები. მოგვიანებით, მხატვრის შემოქმედებით მანერას სოც.რეალიზმი განსაზღვრავს სრულად. ნაშრომს ერთვის მხატვრის ცხოვრების ქრონოლოგია, კატალოგი და საილუსტრაციო მასალა (86 ცალი).		
22	ისლამი და ქართული სახვითი ხელოვნება /2014-2016/		იუზა ხუსკივაძე
	ნაშრომის მიზანია აღმოსავლური ხელოვნების საკითხებისა და მისი მხატვრული პრინციპების შესწავლა; თუ როგორ არიან ისინი სახეცვლილნი ადგილობრივ ნიადგაზე; მათი ზეგავლენით, გარკვეულ ისტორიულ პერიოდში, თუ რა მხრივ წარიმართა ხელოვნების სხვადასხვა დარგის ჩვენივე მხატვრული შემოქმედება, უცხოური გავლენები რაგვარად არის დაფლული ქართული სახვითი ხელოვნების ცალკეულ დარგებებში – ხელნაწერი წიგნის დასურათებაში (ძირითადად საერო მინიატურაში), კედლის მხატვრობის საქტიტორო პორტრეტში და ჭედურ ხელოვნებაში.		

**1.2. საქართველოს სახელმწიფო პიუჯეტის დაფინანსებით 2016
წლისთვის დაგეგმილი გარდამაგალი (მრავალწლიანი)
სამაცნიერო-კვლევითი პროექტები**

№	პროექტის დასახელება	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ადრეული შუა საუკუნეების ქართულ ქვაჯვარათა ორნამენტული რეპერტუარი /2015-2016/		გიტი მაჩაბელი
2	წმ. ნინოს და წმ. მირიან მეჟის სვეტიცხოველი /2014-2016.III ნაწ./		თამაზ სანიკიძე
3	იმპერიალიზმი, ნაციონალიზმი და „ეროვნული სტილები“ თბილისის XIX საუკუნის არქიტექტურაში /2015-2016, ნაწ. II /		დავით ხოშტარია

არქიტექტურის მეშვეობით და სხვა.

4	სამეგრელოს დარბაზული ეკლესიები (XVII-XVIIIსს) /2016-2017/		ირინე ელიზარაშვილი
		<p>2016 წელი დაეთმო სამეგრელოს დღემდე შესწავლელი და რიგ შემთხვევაში უცნობი დარბაზული ეკლესიების (სქური, ეკი, აბასთუმნის სასაფლაოს ეკლესია და ე.წ. “მებონიები”) მონასტულებას და ადგილზე შესწავლას. ამ ეკლესიების შესახებ მოძიებულია საარქივო-ბიბლიოგრაფიული მასალა. თითეული ეკლესიის მხატვრულ-სტილისტური ანალიზის და ანალოგიური ნიმუშების შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი გახდა მათი დათარიღება, ამჟამად მიმდინარეობს სამეგრელოში არსებულ ამ არქიტექტურული ტიპისთვის დამახასიათებელი სპეციფიური ნიშნების გამოვლენა, რაც სამეგრელოს არქიტექტურულ სკოლის არსებობაზე ვარაუდის გამოთქმის შესაძლებლობას მოგვცემს.</p>	
5	კოლხური ცულების გრაფიკული დეკორი /2014-2016/		მარიამ გაბაშვილი
		<p>ნაშრომი გულისხმობს კოლხურ ცულებზე არსებული გრაფიკული დეკორის შესწავლა-ანალიზს. გრაფიკული დეკორით შემკულ კოლხურ ცულებზე გრავირებით შესრულებული ზოომორფული (სამ შემთხვევაში ანთროპომორფული) და მრავალფეროვანი ორნამენტული გამოსახულებებია დატანილი. მათი მხატვრული გენეზისის, სტილისა და თავისებურებების გამოვლენა მათ სტილურ დაჯგუფებას და შემდგომ ანალიზს ეყრდნობა. საკვლევი თემის მეორე ეტაპზე (2015 წ.) შესრულებული სამუშაო მოიცავს ოცი არტეფაქტის აღწერასა და მხატვრულ ანალიზს. დასრულდა კოლხური ცულების გრაფიკულ დეკორზე მუშაობა. დაჯგუფდა ოცი არტეფაქტი მხატვრული სტილისა და იკონოგრაფიის მიხედვით. შესაბამისად, მოხდა მათი მხატვრული ანალიზი და კომპარატიული მეთოდით პარალელების გავლება სხვადასხვა კულტურებში არსებულ მსგავს არტეფაქტებთან.</p>	
6	წინააზიური მოტივები ბრინჯაოს სარტყელთა მხატვრულ რეპერტუარში /2014-2016/		ნონო გომელაური
	<p>2015 წელს განხორციელდა თემის დასამუშავებლად საჭირო წინასწარული სამუშაოები: შედგენილია საქართველოში აღმოჩენილ სარტყელთა ნუსხა, გამოყოფილია სარტყელთა ტიპოლოგიურ-სტილისტური ჯგუფები, დასრულებულია მათი ტოპოგრაფიულება, მოძიებულია სარტყელთა დეკორის წინააზიური პარალელები – ურარტული, ჩრდილო-დასავლეთ ირანული,</p>		

ლურისტანული. პარალელთა
შორის გათვალისწინებულია
როგორც საკუთრივ სარტყელები,
ასევე ლითონის ჭურჭელი,
გლიპტიკა და ქვის რელიეფები.




საქართველო, განლაგებული ევროპისა და აზიის გასაყარზე, უძველესი დროიდან ჩართული იყო ძველ სამყაროში მიმდინარე კულტურულ პროცესებში. იგი იყო ამ სივრცის ნაწილი, თუმცა, ამავე დროს, თვითმყოფადი და თავისთავადი კულტურის მქონე ფენომენი. მხატვრული ნაკადები წამოსული წინააზიიდან დროის განსხვავებულ პერიოდებში სხვადასხვა სისმირითა და ინტენსიონით იჩენს თავს. კონკრეტულად თუ რომელ კულტურულ სამყაროს იცნობს სამხრეთკავკასია, და კერძოდ, საქართველო, გვიანბრინჯაო-ადრეკინის ხანაში, შეიძლება თვალი გავადევნოთ, ბრინჯაოს გრავირებულ სარტყელთა დეკორის მიხედვით. ნაშრომში ნაჩვენებია მხატვრული თემები და მოტივები, რაც ქართულ ბრინჯაოს სარტყელებს წინააზიურ მხატვრულ სამყაროსთან აკავშირებს, და ამასთან, სტილის ის ნიშნები, რომლებიც უდაოს ხდის მათ ადგილობრივ წარმომავლობას.

7	ისტორიული ლორეს ქართული ტაძრების მოხატულობები /2016-2017/		მარინე ბულია მზია ჯანჯალია
---	--	--	-----------------------------------

თემა გარდამავალია, მიზნად ისახავს ჩრდილოეთი სომხეთის ტერიტორიაზე მდებარე ქალკედონური ტაძრების მოხატულობების რეგიონული ნიშნების გამორკვევასა და ჩვენებას. მოხატულობების იდეური და მხატვრული მახასიათებლები განიხილება ქართული და ბიზანტიური მხატვრობის კონტექსტში. ისტორიულად შერეული, ეთნიკურად და კონფესიურად სომხურ-ქართული, რეგიონის თავისებურებები საგანგებო ყურადღების საგანია.

8	ტაო-კლარჯეთის რელიეფები /2015-2016/		თამარ ხუნდაძე
---	--	--	----------------------



ნაშრომში განხილულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული ოპიზისა და ტბეთის ტაძრების საქტიტორო რელიეფები, ხახულის დმრთისმშობლისა და ოშკის წმ. იოანე ნათლისმცემლის ტაძრების ხუროთმოძღვრული სკულპტურა, ოშკის ინტერიერში აღმოჩენილი და ერზერუმის მუზეუმში გადატანილი მემორიალური სტელების რელიეფები; ასევე, დოლისყანის, პარხლის, ჩანგლის (ყალიზმანი), ვაჩეძორის (ნიაკომი), იშხნის ეკლესიათა რელიეფური დეკორი, მათ შორის, იშხნის, იშხნის აღმოჩენილი და რიზეს მუზეუმში დაცული საქტიტორო რელიეფი. ნაშრომში მთავარი ყურადღება ეთმობა ამ რელიეფთა მხატვრულ-სტილური მახასიათებლებისა და შინაარსობრივ-სახისმეტყველებითი ასპექტების წარმოჩენას.

9	ზემო სვანეთის საეკლესიო ნაგებობათა ფასადების გაფორმება /2015-2016/		გიორგი პატაშური
	 <p>ზემო სვანეთის საეკლესიო ნაგებობათა ფასადების გაფორმება, ისევე როგორც ხელოვნების სხვა დარგები საუკუნეთა განმავლობაში მჭიდრო კავშირში იყო დანარჩენი საქართველოს კულტურულ ცხოვრებასთან. თუმცა სვანი ხუროთმოძღვრები ყველანაირ სიახლესთან ერთად ცდილობდნენ თავისებურად გადაეთამაშებინათ და გაეაზრებინათ ესა თუ ის მოტივი. ზემო სვანეთის ეკლესიების ფასადების შესწავლისას გამოვლინილი ნიშნები ერთის მხრივ აერთიანებს მათ საქართველოს სხვა რეგიონების ხუროთმოძღვრებასთან და ამასთანავე გამოარჩევს და მკაფიო ინდივიდუალურ, ადგილობრივ ტრადიციაზე აღმოცენებულ ხასიათს სძენს. აქ ვხვდებით ზოგი თემის ძალზე ორიგინალურ გადათამაშებას, რომელიც, ერთი შეხედვით, ნაცნობი, თუმც იმავე დროს უჩვეულოცაა. ამიტომ სვანეთის საეკლესიო ხუროთმოძღვრების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს შესაუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების საერთო სურათის სრულად წარმოსადგენად.</p>		
10	აფსიდალური პროგრამები სვანეთის მოხატულობებში /2015-2016, ნაწ. II/		მარინე ყენია
	 <p>ნაშრომის მიზანია იმ სქემების გაანალიზება და მათი თავისებურებების გამოვლენა, რომელიც ზემო და ქვემო სვანეთის ეკლესიათა საკურთხევლის აფსიდის მოხატულობებში დასტურდება. კვლევის ამ ეტაპზე დასრულებულია მასალის თავმოყრა და მთავრდება სპეციალური ლიტერატურის დამუშავება (ნაშრომები, რომელიც ეძღვნება საკურთხევლის მოხატვის თავისებურებებს ბიზანტიურსა და ქართულ კედლის მხატვრობაში).</p>		
11	გელათის დმრთისმშობლის შობის ტაძრის ლიტურგიული გეგმარება გვიანი შუა საუკუნეების წერილობითი წყაროებისა და არსებული მასალის მიხედვით /2015-2016/	დიმიტრი თუმანიშვილი	ნატალია ჩიტიშვილი



მუშაობის პირველ (2015 წ.) ეტაპზე მოხდა გელათის მონასტრის შესახებ არსებული ყველა წერილობითი წყაროს (როგორც ისტორიული დოკუმენტების, ასევე რუს ელჩთა და ევროპელ მოგზაურთა აღწერილობების) თავმოყრა, მათი ქრონილოგიური თანმიმდევრობით დალაგება და ისტორიის საერთო ხაზის ჩვენება. მასზე დაყრდნობით სრულად წარმოჩნდა ის გზა,

რომელიც გაიარა მონასტერმა და რა ცელილებებიც განიცადა ტაძრის სხვადასხვა ლიტურგიული ხასიათის აღჭურვილობამ (ტრაპეზი, კანკელი, სამღვდელმთავრო საყდარი, პატრონიკე). განხორციელდა დღემდე შემორჩენილი სამღვდელმთავრო საყდრის, კანკელის და სხვა აღჭურვილობის დეტალური აღწერა და ფოტოფიქსაცია.

ნაშრომში განხილულია გელათის მონასტრის მთავარი ტაძრის ინტერიერის მოწყობა და ლიტურგიული გეგმარება (ტრაპეზი, საკურთხეველში მაღალი დასაჯდომელი, ტაძრის სამრევლო სივრცეში სამღვდელმთავრო საყდარი, პატრონიკე, ხატების ადგილი სამრევლო სივრცეში) გვიანი შეა საუკუნეების წერილობითი წყაროების საფუძველზე და დღემდე ეკლესიაში არსებულ ცალკეულ არქიტექტურულ ფორმებზე დაყრდნობით. ყოველივე ეს შეჯერებულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ითანე ოქროპირის სამღვდელმთავრო ლიტურგიის ხელნაწერებში აღწერილ პროცესიასთან.

12	ზღვისპირა ქალაქები და დასავლეთ საქართველოს საფორტიფიკაციო ნაგებობები /2014-2016/		ირინა მანია
	ნაშრომი საქართველოს ზღვისპირა ქალაქების და დასავლეთ საქართველოს საფორტიფიკაციო ნაგებობების აღნუსხვას, არქიტექტურული თავისებურებების კვლევას და მათი ისტორიული კონტექსტის გამოვლენას ისახავს მიზნად. გვიან რომაულ და ადრებიზანტიურ ხანაში, დასავლეთ საქართველოში, საფორტიფიკაციო ნაგებობების მთელი ჯაჭვი შეიქმნა. ბიზანტია-სპარსეთის ომის დროს დასავლეთ საქართველოს ციხეები თავისი მდებარეობით განსაკუთრებული მნიშვნელობის თავდაცვით ნაგებობებს წარმოადგენენ. საფორთიფიკაციო ნაგებობების შემდგომი არქიტექტურული ისტორიაც მნიშვნელოვანი კვლევის საგანს წარმოადგენს. შეგროვილი მასალის შეჯერების საფუძველზე დასავლეთ საქართველოს საფორტიფიკაციო ნაგებობების არქიტექტურული და ისტორიული დირექტულების გამოვლენა ნაშრომის მთავარ ამოცანას შეადგენდა.		
13	XIX ს. და XX ს.-ის დასაწყისის თბილისის მართლმადიდებლური ეკლესიები /2015-2016/		გია ჭანიშვილი



ნაშრომში განხილულია გვიანი შეს საუკუნეების ტრადიციებით აგებული ეკლესიები: წმ. ნიკოლოზის ორი ეკლესია ორთაჭალასა და ჩუღურეთში, სამების ტაძარი გარეთუბანში და მამა დავითის ეკლესია და სამლოცველო მთაწმინდის ფერდზე. ყველა ეს ეკლესია გუმბათიანია და აგურის შეფერისავი წყობით არის აგებული. ამ ნაგებობებში კარგად ჩანს თანადროული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობით გამოწვეული ტენდენციები.

14	მარგარეტ ჩამბერსი, მოგზაურობა საქართველოში /2015-2017/		ლალი ანდრონიკაშვილი, ქეთევან მიქელაძე
----	---	--	--

ინგლისელი მოგზაური, მარგარეტ ჩამბერსი ევროპელ მოგზაურობა იმ საკმაოდ მცირე რიცხვს განეკუთვნება, რომელთაც XX ს-ის დასაწყისში იმოგზაურეს საქართველოში და, რაც მთავარია, შთაბეჭდილებების ჩანაწერებიც დაგვიტოვეს. მის ნაშრომს (The Lure of Caucasus) განსაკუთრებულ ღირებულებას სძენს მ. ჩამბერსისვე, მოგაურობის დროს, შესრულებული აქვარელები და ფოტოები, რომლებზეც ასახულია საქართველოს პეიზაჟები, ეკლესიები, ეთნოგრაფიული ჩანახატები. მ. ჩამბერსის ნაშრომი აქამდე არ ყოფილა გამოცემული. ის ხელნაწერის სახით ლონდონის სამეფო გეოგრაფიულ საზოგადოებაში ინახება. ამ ნაშრომმა პროექტის სახე მიიღო - „მარგარეტ ჩამბერსი. მოგაურობა კავკასიაში“. ის დააფინანსა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ და მასში ჩაერთნენ ლ. ანდრონიკაშვილი და ინგლისელი მწერალი, ე. ანდერსონი. ჩვენი მიზანია ამ ნაშრომის გამოსაცემად მომზადება. 2016 წელს დამუშავდა მ. ჩამბერსის ტექსტის ნაწილი შესაბამისი კომენტარებით და განხორციელდა აქვარელებისა და ფოტოების ინვენტარიზაცია. თემაზე მუშაობა გრძელდება.

15	ეგის ნათლისმცემლის მონასტერი /2014-2016/		ციცინო ჩაჩეუნაშვილი
----	---	--	--------------------------------



წლიური თემის ფარგლებში 2014-2016 წლებში შესრულდა ეკის ნათლისმცემლის მონასტრის ნაგებობების გაღრმავებული კვლევა. 2013 წლიდან მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოების დროს ძეგლი გაიხსნა, გამოვლინდა ახალი მონაცემები, შესაძლებელი გახდა მათი ახლებური გააზრება. მუშაობის პროცესში გამოიკვეთა კომპლექსის ნაგებობების მხატვრული მნიშვნელობა, აქამდე უცნობი დეტალები, დაზუსტდა თარიღები. ეკში, ეგრისის დედაქალაქის დაცემის შემდეგაც გაგრძელდა სამშენებლო მოღვაწეობა. ამაზე მიანიშნებს IX-Xს.ს-ის ეკლესია, რომელიც უფრო ძველი შენობის ფრაგმენტებს მოიცავს. მონასტრის ისტორიაში განსაკუთრებით

მნიშვნელოვანია XIII-XIV სს. ამ დროს გაფართოვდა და მოიხატა გკლესია, მონასტრის ტერიტორიაზე აშენდა საეპისკოპოსო სასახლე და საქართველოში არსებული ერთ-ერთი ადრეული სამრეკლო.

16	ნიკორწმინდის რელიეფები XI ს.-ის ქვის ქანდაკების ისტორიის ძონტექსტში. /2016-2017, ნაწ. I /		თამარ დადიანი
----	--	--	----------------------



ნიკორწმინდის წმ. ნიკოლოზის ტაძრის ფასადებზე განაწილებული სცენები ერთმანეთთან აზრობრივად დაკავშირებულ ერთიან ანსამბლს ქმნის, რომელიც ერთ საერთო იდეას არის დამორჩილებული. იყონობრაფიული პროგრამა სრულადაა შემორჩენილი და შესაძლებლობას გვაძლევს ზუსტად წარმოვიდგინოთ ტაძრის ძირითადი თეოლოგიური ჩანაფიქრის

სტრუქტურა, რომელიც უფლის მეორედ მოსვლის იდეებს გამოხატავს და დიდ ადგილს უთმობს ქრისტეს თემას. ქრისტეს უკავშირდება ორნამენტში ჩაქსოვილი გრიფონების მცირე გამოსახულებებიც. ასევე აღსანიშნავია წმ. მხედრების გამოსახულებათა მნიშვნელოვნება. მაცხოვრის ზეციური ამაღლის წევრები ყველგან ქრისტეს სიახლოეს არიან წარმოდგენილნი და ტაძრის რელიეფური დეკორის პროგრამაში დამცავ ფუნქციას ასრულებენ.

17	XII-XVIII ს.-ის ქართული შუა საუკუნეების ქანდაკების იკონოგრაფიული და სტილისტური ანალიზი. /2016-1017/		ეპატერინე კვაჭატაძე
----	--	--	----------------------------



ნაშრომი განიხილავს XII-XVIII საუკუნეების ქართული სკულპტურის იკონოგრაფიულ და სტილურ თავისებურებებს, ამ ეპოქის გამოსახულებათა თემატურ დიაპაზონს. ამავდროულად, ნაშრომში შევა ექსპედიციების შედეგად ახლადაღმოჩენილი ძეგლები, რომელთა თარიღის განსაზღვრისთვის დაგვეხმარება ამ კომპოზიციათა იკონოგრაფიული ანალიზი თანადროული ეპოქის, ჩვენთვის კარგად ნაცნობი ძეგლების კონტექსტის გათვალისწინებით.

18	ტაო-კლარჯული წიგნის მხატვრული თავისებურებანი /2016/2017/	ხელნაწერი გაფორმების (IX-XV ს.)	ეთერ ედიშერაშვილი
----	---	--	------------------------------



2016 წელს განხორციელდა მხატვრულად გაფორმებული ტაო-კლარჯული ხელნაწერების ინვენტარიზაცია, აღწერა, ასევე ხელნაწერების კატალოგიზაცია ქრონოლოგიური და გეოგრაფიული არეალის მიხედვით. ამავე პერიოდში მოძიებულ იქნა ტაო-კლარჯეთში გადაწერილი და მოხატული ხელნაწერებზე არსებული ბიბლიოგრაფია და მოხდა მისი დამუშავება.

სამუშაოს ფარგლებში მიმდინარეობს ამ რეგიონის ხელნაწერების მხატვრული გაფორმების სტილური და იკონოგრაფიული მახასიათებლების შესწავლა (ამ ეტაპზე განიხილება IX-XII საუკუნეების ნიმუშები).

19	დასავლური და აღმოსავლური მხატვრულ-კულტურული ტენდენციები ქართული რელიგიური ხელნაწერების მხატვრობის მაგალითზე (XVII-XVIII სს) /2016-2017/		ნინო ციციშვილი
	<p>ნაშრომი გულისხმობს XVII-XVIII სს.-ის ქართული რელიგიური ხელნაწერების იმ ჯგუფის შესწავლას, რომელთა მხატვრობა დასავლური და აღმოსავლური ტენდენციების შემცველია. მიმდინარე წლის განმავლობაში მოხდა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მასალის გაცნობა, მათ შორის შესაბამისი ნიმუშების გამოვლენა (დაახ. 20-მდე ხელნაწერი) და მათი კატალოგიზაცია. ასევე მოძიებულ და დამუშავებულ იქნა შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა.</p> <p>ნაშრომში გათვალისწინებული იყო ეროვნული საისტორიო არქივის და ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული XVII-XVIII სს.-ის საკულტო ხელნაწერების გაცნობა. მათგან დამუშავდა ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული მასალა (გამოვლინდა 8 ხელნაწერი). ვლევის პროცესმა ცხადყო, რომ არაერთი ხელნაწერის თარიღი ხელახლა გადახედვას საჭიროებს. მომავალში იგეგმება ეროვნულ საისტორიო არქივში დაცული ნიმუშების შესწავლა-დამუშავება, რაც შესაძლებელს გახდის პრობლემის ერთიანი სურათის მეტი სიცხადით წარმოჩენას.</p>		
20	1970-იანი წლების ქართული მხატვრობა ქალი მხატვრების შემოქმედებაში (ელ.ახვლედიანის ჯგუფი). <i>/1916-1917/</i>		დალი ლებანიძე

წლიური თემა ეძღვნება XX ს-ის დასაწყისიდან ქართულ ხელოვნებაში გამოჩენილ ქართველ მანდილოსან მხატვრებს. ამ მრავალრიცხოვანი ჯგუფიდან 2016 წელს გამოიცა ნატალია ფალავანდიშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ალბომი (თანაავტორი მ. მექმარიაშვილი). თემა გარდამავალია.




21	ქართული მოდერნიზმის უცნობი მხატვრები /2015-2016/ 		მაია ციციშვილი
22	შეფასებითი მსჯელობისათვის ვიზუალურ ხელოვნებაში (კულტურათა შორისი ურთიერთქმედებისა და სინთეზის მნიშვნელობა ქართულ და მსოფლიო ხელოვნებაში), /გარდამავალი თემა/ /2015-2016/		გოგი ხოშტარია
	<p>ნაშრომში პირველ რიგში გაანალიზებულია შეფასებითი მიდგომის სხვადასხვა საფეხურები ანტიკურობიდან (პლატონი, არისტოტელე) დღევანდელობამდე. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ევროპოცენტრისტული ტენდენციები XIX საუკუნეში – აკადემიური, ნორმატიული მიდგომა და შემდგომ ევროპოცენტრიზმის დაძლევა (იაპონური მხატვრობის მაგალითზე, ოოგორც ერთ-ერთი პირველი შემთხვევა) და აქედან გამომდინარე მსჯელობის კორელაცია უახლესი დროის მხატვრობის ტენდენციებთან, მის მსოფლიოდგასთან და ძირითად ეპოქალურ პრინციპებთან.</p> <p>განიხილება ის საფრთხეებიც, რაც სდევს ერთის მხრივ სრულ რელატივიზმს შეფასებაში, და მეორეს მხრივ გამორჩევას რომელიმე მხატვრული მოვლენის. დასკვნაში ხაზგასმულია, რომ ხშირად ძნელია, ან შეუძლებელიც ობიექტურ ცნობისეულ ანალიზზე დამყარებული მხატვრული ფენომენის დახასიათება და შეფასებითი მსჯელობის გარკვეული სუბიექტურობა (მაგ. რომელიმე მიმართულების მნიშვნელობისა ზოგად ევოლუციურ პროცესში, სტილის</p>		


ჩამოყალიბების პროცესში, შეფასება და ა.შ.).

23	ქართული ვიდეოარტი 1990-2010 წლებში /2015-2016/		ნინო ჭოლოშვილი
 <p>წიგნში მოთხოვობილია წარმოშობით იტალიელი არქიტექტორის ჯოვანი სკუდიერის ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის სესახებ. მასალა სრულად საარქივო დოკუმენტაციას ეყრდნობა, წარმოდგენილია, როგორც ტექსტუალური, ასევე ვიზუალური დოკუმენტები, რაც ახალგაზრდაა, უდროოდ გარდაცვლილი არქიტექტორის შესახებ ინფორმაციას კიდევ უფრო ამდიდრებს. მით უფრო რომ მისი პროფესიული მოღვაწეობა საქართველოში გამორჩეული მნიშვნელობისაა, ქალაქის ცენტრალური რაიონის ურბანული ქსოვილის შექმნა-ფორმირებებაში შეტანილი წვლილისთვის.</p>				

3. სამაცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

3.1 საქართველოში

№	მომსესხებელი/ მომსესხებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ქ.მაჩაბელი	ისტორიის ვიზუალიზაცია. კონსტანტინე პორფიროვენეტის De Ceremoni -ის და ოშკის ქტიტორთა პორტრეტები	ტაო-კლარჯეთი, 4-ე საერთაშორისო კონფერენცია, თბილისი (21-23 სექტემბერი)
2	გ.ჭანიშვილი	მაშავერას ხეობის ზემო წელის ადრექტისტიანული საეკლესიო ნაგებობები	გ.ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი. რ.მეფისაშვილისა და ვ.ცინცაძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „ხუროთმოძღვრება: კვლევა და რესტავრაცია“ (2 დეკემბერი)
3	ი.ელიზბარა შვილი	ჩაჟაში-სვანეთის გამაგრებული ისტორიული დასახლება	გ.ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი. რ.მეფისაშვილისა და ვ.ცინცაძისადმი

			მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „ხუროთმოძღვრება: კვლევა და რესტავრაცია“ (2 დეკემბერი)
4	დ.თუმანიშვილი	ქართული ხელოვნების ისტორიოგრაფიიდან	გჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი. რ.მეფისაშვილისა და ვ.ცინცაძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „ხუროთმოძღვრება: კვლევა და რესტავრაცია“ (2 დეკემბერი)
5	თ.სანიკიძე	წმ. ნინოს და წმ. მირიან მეფის სვეტიცხოვლის არქიტექტურა (სავარაუდო რეკონსტრუქცია)	გჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი. რ.მეფისაშვილისა და ვ.ცინცაძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „ხუროთმოძღვრება: კვლევა და რესტავრაცია“ (2 დეკემბერი)
6	ნ.ჭიჭინაძე	ტაო-კლარჯეთის ტაძრების მთავარანგელოზთა საფასადო რელიეფები იკონოგრაფიის ფორმირების პერსპექტივიდან (დოლისყანისა და ოშკის მაგალითებზე)	ტაო-კლარჯეთი, 4-ე საერთაშორისო კონფერენცია, თბილისი (21-23 სექტემბერი)
7	ც. ჩაჩეუნაშვილი	ეკის ნათლისმცემლის მონასტრის სასახლე	გჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი. რ.მეფისაშვილისა და ვ.ცინცაძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „ხუროთმოძღვრება: კვლევა და რესტავრაცია“ (2 დეკემბერი)
8	მ.გაჩეჩილაძე	ხელოვანი და საზოგადოება. მხატვრი სერგო ქობულაძე	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო კონფერენცია „ხელოვანი და საზოგადოება“. თსუ. თბილისი, (18-19 ნოემბერი)
9	მ.ჩიხრაძე	ფუტურიზმის ნაკვალევი თბილისურ ავანგარდში	საქართველოს ეროვნული მუზეუმის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „ავანგარდის იდეა ლიტერატურასა და ხელოვნებაში“ . თბილისი (23-25 ივნისი)
10	თ.ტაბატაძე	სერგეი სუდეიკინის მოხატულობა „ქიმერიონში“-სივრცის თეატრალიზების ახალი მეთოდი თბილისში	საქართველოს ეროვნული მუზეუმის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „ავანგარდის იდეა ლიტერატურასა და ხელოვნებაში“ . თბილისი (23-25 ივნისი)

11	მ.ლილუაშვილი	სუჯუნის წმ. გიორგის ეკლესია: ისტორია და არქიტექტურა	გჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი. რ.მეფისაშვილისა და ვ.ცინცაძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „ხუროთმოძღვრება: კვლევა და რესტავრაცია“ (2 დეკემბერი)
12	გ.პაპაშვილი	ფოტოგრაფიის ადრეული ეტაპი საქართველოში;	კონფერენცია „ჯოვანი სკუდიერი და საქართველო“; საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბილისი (2 ნოემბერი)
13	თ.გერსამია	ჯოვანი სკუდიერის ცხოვრება და მოღვაწეობა	კონფერენცია „ჯოვანი სკუდიერი და საქართველო“; საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბილისი (2 ნოემბერი)
14	თ.ბელაშვილი	სანახაობა და XIX ს.-ის თბილისი	კონფერენცია „ჯოვანი სკუდიერი და საქართველო“; საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბილისი (2 ნოემბერი)
15	გ. მანია	კალას ერთი ურბანული მონაკვეთის სივრცითი აგებულების თავისებურება	გჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი. რ.მეფისაშვილისა და ვ.ცინცაძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „ხუროთმოძღვრება: კვლევა და რესტავრაცია“ (2 დეკემბერი)

3.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	N. Chichinadze	Self-Presentation of Artists in Medieval Georgia	23 rd International Congress of Byzantine Studies, ბელგრადი, 22-27 აგვისტო
2	მ.დიდებულიძე	შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობა ტაო-კლარჯეთში ადმოსავლეთ ქრისტიანული ხელოვნების კონტექსტში	საერთაშორისო კონფერენცია „შუა საუკუნეების ქართული მემკვიდრეობა თურქეთში“. ოქსფორდის ბიზანტიური აკლევებისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო. ოქსფორდი. დიდი ბრიტანეთი

3	E.Gedevanishvili	The Passion cycle at Ikvi Church and its Connection to the Current Theological Debates in Georgia	23 rd International Congress of Byzantine Studies, ბელგრადი. 22-27 აგვისტო
4	K.Sabashvili	The Early Representations of the Virgin Mary in Georgia	<i>Tenth International Conference of Iconographic Studies MARIAN ICONOGRAPHY EAST AND WEST</i> , 2-3 June 2016, University Campus in Rijeka, Croatia
5	ქ.კვაჭაბაძე	„უფლის დიდების“ კომპოზიცია შეს საუკუნეების ქართულ ქანდაკებაში	23 rd International Congress of Byzantine Studies, ბელგრადი. 22-27 აგვისტო
6	N.Ebanoidze	Reconstructing the Past/Constructing Identity: "Destroyed Aristocracy" by Levan Chogoshvili	AAH 42 nd annual conference and art book fair, University of Edinburgh, Scotland (7-9 April)
7	ქ.ედიშერაშვილი	Political and Artistic Trends in Early Modern Georgian Illuminated Deeds	Illuminate Urkunden – von den Rändern zweier Disziplinen ins Herz der Digital Humanities, Wien (12-14 Sept.)
8	ნ.ნაცვლიშვილი	Reinforcing Eastern <i>Limes</i> : Fortifications of Lazica in the Age of Justinian I	The Edinburgh Conference on Late Antiquity for Postgraduate and Early Career Researchers (21-22 აპრილი)
9	გ.პაპაშივილი	Tiflis in the Eyes of Dumas and Through the Photographic Lens	აინშტეინგოლდებადების კათოლიქური უნივერსიტეტის „Dialogical Imaginations“. ბავარია, გერმანია, (4-9 აპრილი)
10	გ.პაპაშივილი	Current State of the Delphic Movement in the Caucasus	Delphic Games Summit 2016 and the XI IDC Session, აზის დელფინური საბჭო. ნიუ-დელი, ინდოეთი; (10-12 ნოემბერი)
11	გ.პაპაშივილი	Depictins of Daily Life in Tiflis around 1900 (Photography and Art)	4th International Conference of Photography & Theory (ICPT2016); „Photography and Everyday“; ნიქონია, კვიპროსი; (2-4 დეკემბერი)

4. მეგლობა აღმურილობა და სამეცნიერო ინფორმაცია

ცენტრის ძეგლთა აღწერილობისა და სამეცნიერო ინფორმაციის ჯგუფის მიერ 2016 წელს ჩატარებული სამუშაო:

- მომზადდა ხუროთმოძღვრული და კედლის მხატვრობის ძეგლთა სამეცნიერო აღწერილობები – ძეგლების ადგილზე კვლევით (50 სტატია) და სახვითი მასალა (ანაზომები, ფოტოსურათები) კრებულის – “საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის” I-III წიგნისათვის, რომელიც გამოიცემა 2018 წლის I კვარტალში, ჩვენი ცენტრისა ქართული ენციკლოპედიის სახელით. წიგნი ეძღვნება ლაგოდეხის, საგარეჯოს და სიღნაღის მუნიციპალიტეტების ისტორიისა და კულტურის ძეგლებს.
- 2016 წელს ჯგუფის წევრები მუშაობდნენ ასევე არქივში არსებული ფოტოსურათების და ნახაზების ციფრულ ფორმატში (პროგრამა Adobe Photoshop-ში) ჩაწერაზე – დიგიტალური გზამკვლევის „ქართული ხუროთმოძღვრება“ II ნაწილისათვის. გარდა ამისა, მუშაობა მიმდინარეობდა ფოტოსურათების არქივის მოწესრიგებაზე, მომზადდა, ითარგმნა კომპიუტერში შეტანილია და შესამაბის ფოტოსურათებთანაა დაკავშირებული დაახ. 700-მდე წარწერა.

5. არქივისა და ბიბლიოთეკის სექტორი



არქივი

ცენტრის არქივში მიმდინარეობს რენე შმერლინგის, თინა ვირსალაძისა და ინგა გომელაურის არქივების დამუშავება. გაკეთდა რენე შმერლინგის არქივში დაცული ეკლესიების გეგმებისა და ფოტომასალის პასპორტები. ასევე ცენტრის არქივის

თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს მატერიალური კულტურის ძეგლთა აღწერილობისა და სამეცნიერო ინფორმაციის ჯგუფთან ერთად ივრის ხეობაში ძეგლების გამოვლენისათვის მოწყობილ არაერთ ექსპედიციაში.

ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკის თანამშრომლები განაგრძობენ ფონდის სრულ კატალოგიზაციაზე მუშაობას. მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები ახალი ტექნოლოგიების შესაბამისი სისტემის (დიუ) და შესაბამისი სააღრიცხვო სისტემის დანერგვისთვის. ამის პარალელურად მთლიანად

აღწერილი და დალაგებულია უცხოური ჟურნალების ფონდი და ამჟამად სრულდება მუშაობა ქართულ და რუსულენოვანი ჟურნალების ფონდის აღწერილობაზე.

6. სერგო ქოგულაძის სახელობის ხელოვნების მეცნიერთა
ფორუმისაციის ლაგორატორიის საქმიანობა

2016 წელს ლაბორატორია წლიური გეგმის ფარგლებში განაგრძობდა საქმიანობას

შემდეგი მიმართულებებით:

ლაბორატორიის საარქივო ფოტო-მასალის გეგმიური სკანირება
და ციფრულ მატარებელზე გადატანა;

- მომსახურების ოპტიმიზაციის უზრუნველსაყოფად სლაიდორეგის



ელექტრონული კატალოგის შექმნა;

- ბ-ნ გიორგი და ბ-ნ ნიკო ჩუბინაშვილების პირადი ფოტოარქივების დიგიტალიზაცია და დაარქივება;
 - ლაბორატორიის არქივის ბაზაზე გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ხელოვნების ეროვნული ცენტრის თანამშრომელთა მიერ მოწოდებული ფორმატისალის დიგიტალიზაციებული ფონდის შექმნა;



წლის განმავლობაში ლაპორატორიის ფოტოფონდი
მასალით უზრუნველყოფდა ცალკეულ დაინტერესებულ პირთ და ორგანიზაციებს.
შესრულდა დაკვეთები ეროვნული მუზეუმის, კულტურის სამინისტროს,
საქართველოს საპატიოარქოს, თბილისის საკრებულოს, ძეგლთა დაცვის სააგენტოს,
ხელოვნების სასახლის, ქართული და უცხოური გამომკერდებისთვის.

ჩატარდა მხატვარების - თამაზ ხუციშვილის და ქანი მემარიაშვილის ნაწარმოებების ფოტოფიქსაცია და ელექტრონული ვერსიების სახით დაარტიკება.



ლაბორატორიის სლაიდოთების მასალა გამოყენებულ იქნა გამოცვებში:

1. წმინდა ნინო ქმბაზი ქართლისა. რჩეული წყაროები. მცხვეთა. 2016
 2. ქართული ხატები. ობილისი. "ქართხაძის გამომცემლობა". 2016

3. "ჯგარი და ვაზი". ძველი საქართველოს ხატები და ფრესკები. 2017 წლის კალენდარი - წიგნი. გამოიცა იტალიაში, საფრანგეთსა და რუსეთში. 2016.
4. უცნობი სერგო ქობულაძე. "სეზანი". თბილისი, 2016
5. უანი მემმარიაშვილი. ფერწერა გრაფიკა. "ქოლორი", თბილისი, 2016
6. ნატალია ფალავანდიშვილი. "სეზანი". თბილისი, 2016
7. "საქართველოს სიძველეები". № 18. ჩუბინაშვილის ეროვნული ცენტრის პერიოდული გამოცემა. 1916

7. საქართველოს პულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია

7.1 ცენტრის საგამოფენო საქმიანობა

2016 წელს ცენტრის საგამოფენო დარბაზში Ars Georgica გაიმართა 9 გამოფენა:

მხტვარ ოთარ ჯაფარიძის პერსონალური გამოფენა /3-12 თებერვალი/

ცენტრის საგამოფენო დარბაზში შედგა მხატვარ ოთარ ჯაფარიძის პერსონალური გამოფენა. ღოგორც ცნობილია



მხატვარი განსაკუთრებით გამოირჩევა თავი გრაფიკული ჩანახატებით და სერიით, რომელიც ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს მიეძღვნა. ამოფენაზე წარმოდგენილ ნამუშევრებს შორის იყო მხატვრის ფერწერული ნაწარმოებებიც, რომელთაც ფართო საზოგადოება თითქმის საერთოდ არ იცნობდა. ასევე არსებითია რომ მხატვარ ოთარ ჯაფარიძის ნამუშევრების ეს გამოფენა, მისი პირველი პერსონალური გამოფენა იყო, მხატვრისა, რომლის ნამუშევრებიც საქართველოს თითქმის ყველა მუზეუმის ფონდშია დაცული.

დაფით სულაკაურის პერსონალური გამოფენა /7-27 აპრილი/

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მხატვარ დავით სულაკაურის რელიგიურ თემაზე შესრულებული



ნამუშევრები. თანამედროვეობა უამრავი კითხვისა და პრობლემის წინაშე აყენებს საეკლესიო მხატვრობას. ვტორების ნაწილი კანონიკის დაცვის კვალდაკვალ საკუთარი ინდივიდუალური ხელწერის ხაზგასმა-აქცენტირებას ცდილობს, ნაწილი კი ცდილობს სრულად გაემიჯნოს ნამუშევარს რომელსაც ქმნის და მხოლოდ ისტორიული წესებისა და ნორმების დაცვით შემოიფარგლოს. საკითხი მრავალმხრივ მნიშვნელოვანი და აქტუალურია, რაც აღნიშნული გამოფენის ფარგლებში ცენტრში გამართულ სემინარზეც „თანამედროვე რელიგიური მხატვრობა“ დადასტურდა. აღნიშნულ სემინარზე, ცენტრის თანამშრომელმა თამარ ხოსროშვილმა წარმოადგინა მოხსენება – თანამედროვე საეკლესიო ხელოვნება.

ახალგაზრდა ხელოვანის ნათია ფურცხვანიძის ნამუშევრების გამოფენა

/23 მაისი/

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ახალგაზრდა ხელოვანის მიერ შესრულებული გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები - გობელენები. სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულმა ექსპოზიაზე გობელენებისა და ხალიჩის ტექნიკით შესრულებული მცირე ნამუშევრების გარდა ხელნაკეტი სამკაულები და სხვადასხვა აქსესუარებიც წარმოადგინა.

მხატვარ თამაზ ხუციშვილის ნამუშევრების გამოფენა /5 მაისი/



ცნობილი ქართველმა ფერმწერმა და გრაფიკოსმა თაზო ხუციშვილმა 1966 წ.-ს დაამთავრა თბილისის სახ. სამხატვრო აკადემია. ფართო საზოგადოება კარგად იცნობს მის როგორც ფერწერულ, ასევე გრაფიქულ ნამუშევრებს. არის უამრავი ილუსტრაციის ავტორი და ასევე არაერთი ფილმის მხატვარი. ცენტრის საგამოფენო სივრცეში ხელოვანის მიერ წარმოდგენილი იყო, როგორც ადრეული, ასევე შედარებით გვიანდელი ნამუშევრები, რაც დამთვალიერებელს ნათელ წარმოდგენას უქნიდა ავტორის სტილისა და მანერის მრავალგვარობაზე, თუმცა უცვლელი, თაზო ხუციშვილისეული, მხატვრული ესთეტიკის ფარგლებში.



გოგა მაღლაკელიძის პერსონალური გამოფენა /6-17 ივნისი/



გოგა მაღლაკელიძე
ქართველი 80-იანელების
თაობის წარმომადგენელია.
მან 1986წ. დაამთავრა
თბილისის სახელმწიფო

სამხატვრო აკადემია. იყო მხატვრული გაერთიანება „არქივარიუსების“ წევრი. 1988წ.-დან ის აქტიურად მუშაობს რელიგიურ თემატიკაზე. მოგვიანებით ქმნის საეკელესიო ხელოვნების ნიმუშებსაც. ამ თვალსაზრისით მისი უკელაზე მასშტაბური ნამუშევარი დღეს-დღეობით სოფ-ვაჭევის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობაა, რომელიც მხატვარმა 2013-14წ.-ში შეასრულა. ცენტრის საგამოფენო დარბაზში მიმდინარე მხატვრის გამოფენის ფარგლებში ასევე მოეწყო სემინარი გოგა მაღლაკელიძის შემოქმედებისა და თანამედროვე საეკლესიო ხელოვნებაში არსებული პრობლემების შესახებ სადაც ისაუბრა თავად მხატვარმა.

ვახტანგ მუსხელიშვილის პერსონალური გამოფენა. /7-20 სექტემბერი/

ფერმწერი და გრაფიკოსი ვახტანგ მუსხელიშვილი 1984 წ. ამთავრებს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტს.



შემდგომ მცირე პერიოდის განმავლობაში ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას ბავშვთა სამხატვრო სასწავლებელი და უკვე 90-იანი წლებიდან საცხოვრებლად მიემგზავრება აშშ-ში. ალბათ ამის გამოც მისი როგორც ხელოვანის გაიგივება ქართველ 80-იანელთა თაობასთან არ ხდება. ის ამჟამად ცხოვრობს ვაშინგტონის შტატში, ქალაქ სიეტლში და ეწევა აქტიურ შემოქმედებით და

კერძოპედაგოგიურ მოღვაწეობას. ასევე სისტემატიურად მართავს პერსონალურ გამოფენებს. მხატვარი პერიოდულად სტუმრობს საქართველოს. 2013წ. თბილისის სახ. სამხატვრო აკადემიაში გამართა მასტერკლასი. მოეწყო მისი რამდენიმე გამოფენაც. ბუნებრივია ცენტრის საგამოფენო დარბაზში მსგავსი მხატვრის ნამუშევრების ექსპონირება საინტერესო იყო როგორც წმინდა პროფესიული ასევე საქართველოს საზღვრებს გარეთ მოღვაწე ქართველი ხელოვანების შემოქმედების გაცნობა-პოპულარიზების თვალსაზრისით. გამოფენის ფარგლებში გაიმართა სემინარი-დისკუსია თავად მხატვართან.

ალექსანდრე ჯავახიშვილის ნახატების გამოფენა /19.10-2.11/

ცენტრის საგამოფენო სივრცემ
უმასპინძლა ცნობილი არქეოლოგის,
აკადემიკოს ალექსანდრე (ლალი)
ჯავახიშვილის (1917-1997) გრაფიკული
ნამუშევრების პერსონალურ
გამოფენას. ცნობილი მეცნიერის
მხატვრული ნამუშევრები ფართო საზოგადოებისათვის მანამდე სრულიად
უცნობი იყო და ამ გამოფენაზე პირველად მოხდა მათი საჯარო ექსპონირება.



თვითნასწავლი მოქანდაკის თემურ ჭილაიას პერსონალური გამოფენა /ნოქმბერი/



ცენტრის საგამოფენო დარბაზში მოწყო თვითნასწავლი
მოქანდაკის თემურ ჭილაიას პერსონალური გამოფენა.
ავტორმა დამთვალიერებლის წინაშე წარმოადგინა
სხვადასხვა მასალაში შესრულებული ნამუშევრები, მათ
შორის ხეში, მინასა და ქვაში. ამასთან როგორც მცირე
მრავალშრიანი პლასტიკის ნიმუშები, ასევე აკადემიური
მრგვალი ქანდაკება.

გამოფენა
მნიშვნელოვანი იყო
არაპროფესიონალი,



თვითნასწავლი ხელოვანების
შემოქმედების წახალისებისა და
პოპულარიზების თვალსაზრისით.

იოსებ ანდრიაძის და დიმიტრი რაზმაძის საეკლესიო ნამუშევრების გამოფენა /5-15 დეკემბერი/

აღნიშნული გამოფენა გარკვეულწილად წელს ცენტრში ამ თემისადმი
მიძღვნილი არაერთი გამოფენისა თუ სემინარების ციკლის გაგრძელება იყო.
ექსპოზიცია დაეთმო ხელოვანების იოსებ ანდრიაძისა და გამოფენის
ფარგლებში მოწყო განხილვა თანამედროვე საეკლესიო ხელოვნების
პრობლემების და მის წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ.


7.2 ცენტრის თანამშრომელთა მიერ ორგანიზირებული გამოფენები

- ქეთევან მაღალაშვილის დაბადებიდან 120 წლის იუბილისადმი მიძღვნილი გამოფენა. საქართველოს ეროვნული მუზეუმის დ.შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა /17 მაისი/ ნ.მირცხულავა – გამოფენის კურატორი
- „თბილისი-16“. შინდისი. ციურისის კუნსტპალეს და მისი დირექტორის, კურატორ დანიელ ბაუმანის სახელოვნებო პროექტი. ნ. ყიფიანი – თანაკურატორი
- 1910-1920-იანი წლების ქართული აგანგარდი. ციურისი, შვეიცარია და პომპიდუს ცენტრი /გამოფენის მზადება 2018წ.-ის/
- შალვა ქიქოძე 120 – საიუბილეო გამოფენა საქართველოს ეროვნული მუზეუმის დ.შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა /15.12. 2015 – 10.02. 2016/ – გამოფენის კურატორები: მ.ციციშვილი, ნ.ჭოლოშვილი, ი.აბესაძე

7.3 საჯარო ლექციები და სემინარები

- „ლურჯი ფარის“ საქართველოს ეროვნული კომიტეტის მიერ მოწყობილი სასწავლო კურსი: კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის და მართვის საკითხები. ლექციის თემა – „მემკვიდრეობის ძეგლის იდენტიფიკაცია, დირებულების შეფასება, მნიშვნელობის დასაბუთება“ - ციცინო ჩაჩხუნაშვილი.
- „ლურჯი ფარის“ საქართველოს ეროვნული კომიტეტის მიერ მოწყობილი სასწავლო კურსი: კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის და მართვის საკითხები. ლექციის თემა – „მემკვიდრეობის რესურსის გამოვლენა და დოკუმენტაცია“ - ციცინო ჩაჩხუნაშვილი.
- ქეთევან მაღალაშვილის შემოქმედებითი გზა, საქართველოს ეროვნული მუზეუმის, დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა. ნ.მირჩხულავა (25 მაისი).
- შალვა ქიქოძის შემოქმედების შესახებ, საქართველოს ეროვნული მუზეუმის, დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა. ცისია კილაძე (3 თებერვალი).
- მოდერნისტული მხატვრობის შესახებ, კერძო სკოლა „ჯეჯილი“. ცისია კილაძე (15 აპრილი)

- ლექცია „ეთნოგრაფიული პორტრეტი კავკასიაში 1900-იანი წლების მიჯნაზე“. აშშ, ინდიანას უნივერსიტეტის გლობალური და საერთაშორისო კვლევების ფაკულტეტი გ. პაპაშვილი
- კავკასიის უნივერსიტეტმა ცენტში წარმოადგინატაო-კლარჯეთის შემსწავლელი ექსპედიციების ანგარიში /24 მარტი/



- ცენტრში, ცნობილმა ქართველმა არქიტექტორ-რესტავრატორმა, იოსებ ბანძელაძემ წარმოადგინა თავისი მრავალწლიანი კვლევის შედეგები, შეუასეულებელი ქართულ ხუროთმოძღვრებაში მიკვლეულ მეტროლოგიურ კანონზომიერებებსა და სამშენებლო მეთოდებზე, რომაულ-ბერძნულ და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში დამოწმებული გამოცდილების ფართო კონტექსტში. /9 მარტი/

8. პულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაცია-რესატარაციის სფეროში ბანეორციელებული სამიანობა

ცენტრის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაცია-რესატარაციისა და ძეგლთა დაცვასთან დაკავშირებული საკითხები. ცენტრის თანამშრომლები მუდმივად მონაწილეობენ ძეგლთა სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო პროექტებში, ასრულებენ ძეგლების სახელოვნებათმცოდნეო კვლევასა და სარესტავრაციო რეკომენტაციებს, მუშაობენ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მეთოდოლოგიაზე, ახორციელებენ რეაბილიტირებული ძეგლების მონიტორინგს, კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტიზას.

2016 წელს ცენტრში გაგრძელდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებთან დაკავშირებული სემინარები (ხელმძღვანელი დიმიტრი თუმანიშვილი). სემინარებზე განიხილებოდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, აღნუსხვისა და შეფასების პრობლემები, ძეგლთა სარეაბილიტაციო სამუშაოების შეფასება.



- სტუდია XXI-მა ცენტრში წარმოადგინა აღმაშენებლის გამზირისა და მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციის პროექტის კონცეფცია. მომხსენებელი – გიორგი გოცირიძე /2 მარტი/
 - ცენტრში ცნობილმა ქართველმა არქიტექტორ-რესტავრატორმა თამარ ნემსაძემ განსახილველად წარმოადგინა კულტურული ტაძრის რესტავრაციის პროექტი /16 მარტი/
 - 2016 წლის განმავლობაში ცენტრის თანამშრომლები მუშაობდნენ ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრობის დაცვის კოდექტე. მოეწყო განხილვა, რომლის დასკვნები გადაეცა ეროვნულ სააგენტოს.
 - ცენტრის თანამშრომელთა ჯგუფი ეწვია წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერს „ჩაკიდული თხემები“, რომელიც თანამედროვე ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ერთ საუკეთესო ქმნილებად არის მიჩნეული. მეცნიერთა ჯგუფს მასპინძლობდა მუზეუმი დავითი, ამბა ალაგერდელი, რომელიც არის ამ პროექტის ავტორი. მან დაათვალიერებინა ხელოვნებათმცოდნებს მონასტრის ეკლესიები, სენაკები, ბიბლიოთეკა, ხატწერის სახელოსნო და სხვა სათავსები და გააცნო მომავალი განვითარების გეგმები.
- /21 აპრილი/
- ცენტრმა გაიმარჯვა საკონსულტაციო ცენტრ „გეოგრაფიკონ“ ერთად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტის „მესტიის მუნიციპალიტეტისა და მულახის ოემის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავება“ კონკურსში. პროექტის განხორციელება დასრულდება 2017 წ.



- შპს ”სტუდია 21“ ერთად ცენტრმა გაიმარჯვა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ „ახმეტის მუნიციპალიტეტისა და ოუშეთის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავება“. პროექტი დასრულდება 2017 წ.

- იუნესკოს რეკომენდაციითა, სამინისტროს დაკვეთით ცენტრის თანამშრომელთა ჯგუფი მუშაობდა „გელათის მართვის გეგმის განახლება-დაზუსტების პროექტზე“ (2016-2017) ხელმძღვანელი დავით ხოშტარია.

8.1 ძეგლთა საკონსერვაციო/სარეაბილიტაციო პროექტებში მონაწილეობა

1. თბილისის ლადო გუდიაშვილის მოედნისა და მიმდებარე არეალის კონსერვაციის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოების სახელოვნებათმცოდნეო მეთვალყურეობა. ასევე მოედნის მიმდებარე არეალში არსებული ისტორიულ ნაგებობებზე დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოების პროცესის სახელოვნებათმცოდნეო მეთვალყურეობა. მ.სუარამელაშვილი
2. თბილისი. ბეგლარ ახოსპირელის ქ. 7, საცხოვრებელი სახლის სახელოვნებათმცოდნეო კვლევა, მ. ურამელაშვილი
3. თბილისი. გ.აბესაძის ქ. 21, საცხოვრებელი სახლის სახელოვნებათმცოდნეო კვლევა, მ. სურამელაშვილი
4. თბილისი. შ.დადიანისა და ლ.ასათიანის ქუჩების კუთხის 17/34, საცხოვრებელ სახლზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელოვნებათმცოდნეო მეთვალყურეობა, მ.სურამელაშვილი
5. შქმერის ქოლოსის ეკლესიის რეაბილიტაცია (ონის მუნიციპალიტეტი), სახელოვნებათმცოდნეო კვლევა და რეკომენდაციები, გია ჭანიშვილი
6. გოფანმთის ეკლესიის რეაბილიტაცია (თერჯოლის მუნიციპალიტეტი), სახელოვნებათმცოდნეო კვლევა და რეკომენდაციები, გია ჭანიშვილი
7. მუწდის ეკლესიის რეაბილიტაცია (ლენტეხის მუნიციპალიტეტი), სახელოვნებათმცოდნეო კვლევა და რეკომენდაციები, გია ჭანიშვილი
8. მცხეთის მიწათსარგებლობის გეგმა (მცხეთის მუნიციპალიტეტი), კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დახასიათება, მცხეთის ურბანული განვით რების გამოკვლევა და რეკომენდაციები ზონების დასაღვენად (ბოლო ეტაპი), გია ჭანიშვილი, ქეთევან აბაშიძე
9. თბილისის მიწათსარგებლობის გეგმა (მცხეთის მუნიციპალიტეტი), კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლების დახასიათება, თბილისის ურბანული განვითარების გამოკვლევა და რეკომენდაციები ზონების დასაღვენად. გია ჭანიშვილი
10. დაბა ასურეთი (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი), გერმანული კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაცია – კიოხე და სამი საცხოვრებელი სახლი, სახელოვნებათმცოდნეო კვლევა და რეკომენდაციები, გია ჭანიშვილი
11. ურბანული ძეგლების რეაბილიტაციის პროექტი: თბილისი – მედიცინის მუზეუმის (უზნაძის ქ. №51) შენობის რეაბილიტაცია. სახელოვნებათმცოდნეო კვლევა და რეკომენდაციები, გია ჭანიშვილი
12. ურბანული ძეგლების რეაბილიტაციის პროექტი: თბილისი – ვაკის პარკი საბაგიროს ქვედა სადგურის რეაბილიტაცია. სახელოვნებათმცოდნეო კვლევა და რეკომენდაციები, გია ჭანიშვილი
13. ურბანული ძეგლების რეაბილიტაციის პროექტი: თბილისი – პურის და იერუსალიმის მოედნ. განაშენიანების რეაბილიტაცია. სახელოვნებათმცოდნეო კვლევა და რეკომენდაციები, გია ჭანიშვილი
14. ურბანული ძეგლების რეაბილიტაციის პროექტი: თბილისი – ყოფ. ოფიცერთა სახლის (რუსთაველის პრ. №16) რეაბილიტაცია. სახელოვნებათმცოდნეო კვლევა და რეკომენდაციები, გია ჭანიშვილი

15. ურბანული ძეგლების რეაბილიტაციის პროექტი: თბილისი – ხელოვნების მუზეუმის (პუშკინის ქ. №3) რეაბილიტაცია. სახელოვნებათმცოდნეო კვლევა და რეკომენდაციები, გია ჭანიშვილი
16. ურბანული ძეგლების რეაბილიტაციის პროექტი: თბილისი – საცხოვრებელი სახლი (ათონელის ქ. №23) რეაბილიტაცია. სახელოვნებათმცოდნეო კვლევა და რეკომენდაციები, გია ჭანიშვილი
17. ატენის კედლის მხატვრობის წინასაკონსერვაციო კვლევა – კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, თბილისის სახელმწიფო სამსატვრო აკადემია, ლონდონის უნივერსიტეტის კურტოს ხელოვნების ინსტიტუტი. სახელოვნებათმცოდნეო კვლევა - მზია ჯანჯალია.
18. ეკის ორანჟ ნათლისმცემლის მონასტრის რეაბილიტაცია. სახელოვნებათმცოდნეო კვლევა მონასტრის სასახლის რესტავრაციასთან დაკავშირებით, ციცინო ჩაჩეუნაშვილი
19. ლ. გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაცია, პროექტი განახორციელა ICOMOS-საქართველომ თბილისის განვითარების ფონდის დაფინანსებით. პროექტის მონაწილე – ნათია ნაცვლიშვილი.
20. გერმანული კულტურული მემკვიდრეობა საქართველოში: კვლევა და ინვენტარიზაცია, II ეტაპი: თრიალეთი, დმანისი. პროექტი განახორციელა სამხრეთ კავკასიაში გერმანული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კავშირმა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით. პროექტის მონაწილე – ნათია ნაცვლიშვილი.
21. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა აღნუსხვისა და შეფასების პრობლემები. სემინარი გ.ჩუბინაშვილის ქართული ხელოვნების, ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნულ ცენტრში. 6. ნაცვლიშვილი, 6. ჩიტიშვილთან და გ. პატაშური.
22. ქ. თბილისი, გ. ათონელის ქ. №29/ხიდის ქ. №1 შენობების ფასადების რესტავრაცია-რეაბილიტაციის პროექტი. 6. ჩიტიშვილი
23. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის პროსპექტის №60 და №60ა შენობების ფასადების რესტავრაცია-რეაბილიტაციის პროექტი. 6. ჩიტიშვილი
24. გერმანული კულტურული მემკვიდრეობის ინვენტარიზაცია, II ეტაპი: თრიალეთი, დმანისი. პროექტი განახორციელა სამხრეთ კავკასიაში გერმანული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კავშირმა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით. კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტი – ნ.ჩიტიშვილი
25. თბილისი. იაშვილის ქ. 20. ბ.8 სარემონტო პროექტის სახელოვნებათმცოდნეო დასკვნა. დ.ჩიხლაძე
26. თბილისი. ორპირის ჩიხი 27 (ძველი თბილისი) სარეაბილიტაციო პროექტის სახელოვნებათმცოდნეო დასკვნა. დ.ჩიხლაძე

9. საერთაშორისო ურთიერთობები

- (26.04) შედგა ცენტრის დირექტორის შეხვედრა ფრანკფურტის ხატების მუზეუმის დირექტორთან რიჩარდ ზახარუქ – Richard Zacharuk და ამავე მუზეუმის კურატორ Alexandra Neubauer, - ფრანკფურტის წიგნის ბაზრობასთან დაკავშირებით. განიხილებოდა მუზეუმში ქართული ხატების გამოფენის მოწყობის შესაძლებლობა. დირექტორმა გააცნო სტუმრებს ქართული ხატწერის საუკეთესო ნიმუშების ფოტო-მასალა და მათი ისტორია.
- (13.09) ცენტრში მოეწყო შეხვედრა ცენტრის დირექტორსა და შვედური ფილმის WikiMedias- წარმომადგენლებთან. განიხილეს საკითხი გ. ჩუბინაშვილის ცენტრის მიერ აღნიშნულ საიტზე ცენტრის კუთვნილი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი დიგიტალური მასალის განთავსების შესაძლებლობასა და პირობებზე.
- ცენტრმა წარადგინა დოკუმენტაცია რეგისტრაციისთვის ორ საერთაშორისო საზოგადოებაში: RIHA (International Association of Research Institutes in the History of Art) და CIHA (Comité international d'histoire de l'art); პასუხი სავარაუდოდ იქნება 2017 წელს
- 2016 წელს კურტოს ხელოვნების ინსტიტუტის (ლონდონი, გაერთიანებული სამეფო) ინიციატივითა და გეტის ფონდის (აშშ) დაფინანსებით მოეწყო კვლევითი სემინარი „ხაზღვრების გადაკვეთა: ქრისტიანები, მუსლიმები და მათი ხელოვნება აღმოსავლეთ ანატოლიასა და კავკასიაში“. პროექტის ფარგლებში მოეწყო 2 გასვლითი სემინარი: 6-15 ივლისი თურქეთში (კაისერი, სივაში, დიგრილი, ერზერუმი, ყარსი) და 6-15 სექტემბერი სომხეთში (ეրევანი, გიუმრი, ძორაგეთი, გორისი). პროექტში მონაწილეობას იღებდნენ მეცნიერები სხვადასხვა ქვეყნებიდან (ინგლისი, ირანი, საფრანგეთი, ამერიკა, სომხეთი, თურქეთი), მათ შორის იყვნენ გ. ჩუბინაშვილის ხელოვნების ეროვნული ცენტრის ორი მეცნიერთანამშრომელი, ნათია ნაცვლიშვილი და ნატალია ჩიტიშვილი.
- 2016 წლის ივლის-სექტემბერში ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი გიორგი პაპაშვილი სმიტსონის ინსტიტუტის ათკვირიანი სამეცნიერო სტიპენდიით იმუოფებოდა აღმოსავლეთის მუზეუმში (ვაშინგტონი) და ბრუკლინის მუზეუმში (ნიუ-იორკი) სამუშაოდ „ანტუან სევრუგინის ფოტოგრაფია და მისი აღმოსავლურ-დასავლური კულტურული კონტექსტი“ პროექტის ფარგლებში.
- აგვისტოში ცენტრის თანამშრომლებმა 6, ჭიჭინაძემ და ე. გედევანიშვილმა მონაწილეობა მიიღეს ბიზანტოლოგთა 23-ე საერთაშორისო კონგრესში (ბელგრადი, სერბეთი)

- ცენტრი განაგრძობს თანამშრომლობას ტოკიოს ტექნოლოგიურ ინსტიტუტთან ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების აზომვა-ფოტოგრამეტრიული ფიქსაციის პროექტის ფარგლებში. ცენტრის თანამშრომლები მ.გაბაშვილი, დ.ჩიხლაძე.

პროგლემები

გ. ჩუბინაშვილის ცენტრის ძირითადი პრობლემები არასაკმარის თანხებთან არის დაკავშირებული, რომელიც საჭირო წმინდა სამეცნიერო კვლევის წარმართვისთვის, სამეცნიერო ექსპედიციებისთვის (განსაკუთრებით საზღვარგარეთ არსებული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე), სამეცნიერო კონფერენციების მოსაწყობად, საერთაშორისო თავკრილობებში მონაწილეობისთვის, ცენტრის თანამშრომლების მიერ მომზადებული წიგნების გამოსაცემად, ცენტრის ბიბლიოთეკისთვის ახალი წიგნების და პერიოდული გამოცემების შესაძენად, ახალგაზრდა სპეციელისტების მისაღებად და სხვ.

კვლავაც პრობლემად რჩება ცენტრის თანამშრომელთა დაბალი სახელფასო ანაზღაურება, რომელიც არ ითვალისწინებს ბოლო დროის ლარის კურსის ცვილებას (საშუალო ხელფასი 370 ლარია), რაც აიძულებს მათ ეძებონ დამატებითი სამუშაო.

დიდ პრობლემას წარმოადგენს (არა მარტო ჩვენთვის) დაფინანსების გარეშე წყაროების სიმცირე. ფაქტობრივად მხოლოდ რუსთაველის ფონდი და კულტურის სამინისტროა დაფინანსების ერთადერთი შესაძლებლობა. სიტუაციას ძლიერ გააუმჯობესებდა კანონის მიღება ქველმოქმედების შესახებ.

მწვავე პრობლემად რჩება ცენტრის ტრანსპორტით უზრუნველყოფის საკით, განსაკუთრებით ექსპედიციების დროს - ისეთი ტრანსპორტის არქონა, რომელიც 10 ადამიანს მაინც დაიტევდა, რაც ექსპედიციებისთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდა მეცნიერების მუშაობისთვის მეტად მნიშვნელოვანია.

პრობლემად რჩება კომპიუტერეული და სხვა ციფრული ალგორიტმობის არასაკმარისი რაოდენობა, რაც ვერ უზრუნველყოფს სამეცნიერო მუშაობის წარმართვას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

პრობლემას წარმოადგენს ცენტრის მიერ გამოცემული ბეჭდვითი პროდუქციის საზღვარგარეთ – მნიშვნელოვან სამეცნიერო ცენტრებსა და დარგის წამყვან მეცნიერებთან გაგზავნა, რაც აუცილებელია ჩვენი ხელოვნების და ჩვენი სამეცნიერო მიღწევების პოპულარიზაციისთვის.

ფინანსურ პრობლემებთან არის დაკავშირებული სწრაფი რეაგირების ჯგუფების დაკომპლექტება და გაგზავნა ჩვენთვის საინტერესო ძეგლების ან მათზე მიმდინარე სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოების შესასწავლად.

ფოტო-ლაბორატორიას ესაჭიროება დამატებითი აღჭურვილობა და ფოტოფიქსაციის დიდმასშტაბიანი ექსპედიციების მოწყობის შესაძლებლობა (მაგ. ს. ქობულაძის მიერ შექმნილი ხარაჩოების აღდგენა და სხვ). ლაბორატორიის არქივი საჭიროებს განახლებას და შევსებას, რაც დამატებითი თანხების მოძიებას ითხოვს.

ექსპედიციებში ნორმალური მუშაობისთვის აუცილებელია ასევე მობილური ხარაჩოები, განსაკუთრებით კედლის მხატვრობის კვლევის დროს.

ცენტრი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქართული ხელოვნებისა და კულტურის შესახებ არსებული ძველი და ახალი გამოცემების თარგმნას ევროპულ ენებზე, რათა სათანადოდ წარმოჩნდეს ქართული ხელოვნებათმცოდნეობის მიღწევები, ღვაწლი და წვლილი მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში, რაც სამწუხაროდ, ჯერაც არ არის ჯეროვნად დაფასებული. მაღალპროფესიულ დონეზე შესარულებული თარგმანისთვის კი საგანგებო თანხებია საჭირო.

ჯერაც არ არის დასრულებული ბიბლიოთეკის ინვენტარიზაცია და ელექტრონული კატალოგის შედგენა, რასაც ასევე საგანგებო დაფინანსება და დრო სჭირდება.

დასპგნა

2016 წელს გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულმა კვლევითმა ცენტრმა შეასრულა სახელმწიფოს (კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს) წინაშე აღებული ვალდებულებები როგორც სამეცნიერო კვლევის, ისე კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისა და დაცვის მიმართულებით.

2016 წელს ცენტრის მეცნიერ თანამშრომელთა მიერ დამუშავდა გეგმით გათვალისწინებული **54** სამეცნიერო თემა.

2016 წელს ცენტრმა გამართა ერთი სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ფუძემდებლების რუსულან მეფისაშვილისა და ვახტანგ ცინცაძისადმი „ხუროთმოძღვრება: კვლევა და რესტავრაცია“.

2016 წელს ცენტრმა გამოსცა უურნალი – „**საქართველოს სიძველენი**“ (№19), მიეძღვა აღნიშნულ კონფერენციას და სხვა სამეცნიერო პუბლიკაციებთან ერთად კონფერენციის მასალებიც გამოქვეყნდა. მომზადდა და ინტერნეტ სივრცეში განთავსდა ინტერნეტ-ურნალის – ‘**Ars Georgica**’ სერია B - 2016 წლის ნომერი (georgianart.ge)

2016 წელს ცენტრმა თავის საგამოფენო დარბაზში ‘Ars Georgica’ გამართა 9 გამოფენა. ცენტრის თანამშრომელთა მონაწილეობით მოეწყო 4 გამოფენა, მათ შორის შალვა ქიქოძისა და ქეთევან მაღალაშვილისადმი მიძღვნილი

მასშტაბური საიუბილეო გამოფენები საქართველოს ეროვნული მუზეუმის
დ.შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში.

2016 წელს ცენტრის თანამშრომლების მიერ და მათი მონაწილეობით
გამოიცა 4 წიგნი, 2 კრებული, 8 წიგნი-ალბომი და 1 კატალოგი. წლის
განმავლობაში ცენტრის მეცნიერ თანამშრომლებმა გამოაქვეყნეს 35
სამეცნიერო სტატია სამამულო პერიოდულ გამოცემებსა და კრებულებში, 17
კი გადაცემულია დასაბეჭდად; 10 სამეცნიერო სტატია უცხოეთის
პერიოდიკასა და სამეცნიერო კრებულებში გამოქვეყნდა, 5 კი გადაცემულია
დასაბეჭდად; 2016 წელს ცენტრის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს
სამეცნიერო თავმურილობებში, როგორც ქვეყნის შიგნით (5
კონფერენცია/უორქშოფი, სადაც ცენტრის თანამშრომლების მიერ
წარმოდგენილი იყო 15 მოხსენება), ისე საზღვარგარეთ (9
კონფერენცია/უორქშოფი, სადაც ცენტრის თანამშრომლების მიერ
წარმოდგენილი იყო 11 მოხსენება). 2016 წელს ცენტრის მეცნიერ
თანამშრომელთა მიერ მოპოვებულ იქნა სამეცნიერო გრანტები: ადგილობრივი
ფონდებიდან – 6, საერთაშორისო ორგანიზაციასთან ერთად - 1. გრძელდება 4
სამეცნიერო პროექტი დაწყებული და დაფინანსებული 2014, 2015 წლებში.

კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაცია-რესტავრაციის მიმართულებით
ცენტრის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს 26 პროექტში;
მონაწილეობდნენ თბილისის ისტორიული ნაწილის ურბანული განვითარების
კონცეფციის შემუშავებაში, რეკომენდაცია და სახელოვნებათმცოდნეო
კველვა შეასრულეს ძევლი თბილისის მუნიციპალიტეტში მიმდინარე
სარეაბილიტაციო პროექტისთვის, მუშაობდნენ ბათუმის ისტორიული ნაწილის
დაცვის, რეაბილიტაციისა და პერსპექტიული განვითარების პროექტში,
შეასრულეს კვლევა და ინვენტარიზაცია პროექტისთვის გერმანული
კულტურული მემკვიდრეობა საქართველოში; მონაწილეობდნენ საქართველოს
სხვადასხვა რეგიონში მიმდინარე ძეგლთა სარესტავრაციო პროექტებში და
ასრულებდნენ სახელოვნებათმცოდნეო კვლევას, რეკომენდაციებს,
ინეტარიზაციას; ასრულებდნენ ხელოვნების ნიმუშთა ექსპერტიზას. ამას
გარდა, ახორციელებდნენ რეაბილიტირებული და რესტავრირებული ძეგლების
მონიტორინგს.

ცენტრის მეცნიერ თანამშრომლები არიან 9 სამეცნიერო-მეთოდოლოგიური
საბჭოს წევრები, მათ შორის 2 საერთაშორისო საბჭოსი.

მნიშვნელოვანი სამუშაოები განახორციელდა ს. ქობულაძის სახ. ძეგლთა
ფოტო-ფიქსაციის ლაბორატორიამ: განახლდა და შეივსო ფოტო-არქივი.

2016 წლის განმავლოვაში ცენტრის თანამშრომლები აწყობდნენ როგორც
ერთდღიან გასვლებს ძეგლებზე, ისე სანგრძლივ სამეცნიერო ექსპედიციებს
საქართველოს სახვადასხვა რეგიონებში, მივლინებით იმყოფებოდნენ
საზღვარგარეთ.

2016 წელს გ. ჩუბინაშვილის ცენტრი აგრძელებდა თანამშრომლობას
სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებთან, როგორც საქართველოში –

ხელოვნების მუზეუმთან, საქართველოს საპატიოარქოსთან, ეროვნულ ბიბლიოთეკასთან, სოხუმის უნივერსიტეტთან, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთან, სამხატვრო აკადემიასთან და სხვა, ისე საზღვარგარეთ – ტოკიოს ტექნოლოგიის ინსტიტუტთან, თესალონიკის ბიზანტიური და პოსტბიზანტიური ძეგლების ევროპულ ცენტრთან, ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს დარგში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებთანაც.

ცენტრის მეცნიერ თანამშრომლები აქტიურად არიან ჩაბმული საგანმანათლებლო საქმიანობაში თბილისის 8 უმაღლეს სასწავლებელში. კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით და ძეგლთა დაცვის საკითხებთან დაკავშირებით ცენტრის თანამშრომლები მონაწილეობენ სატელევიზიო და რადიოგადაცემებში. ცენტრი ვებ-გვერდის (www.gch-centre.ge) საშუალებით მუდმივად აწვდის საზოგადოებას თავისი საქმიანობისა და კულტურის მნიშვნელოვან სიახლეებს.

დიმიტრი თუმანიშვილი

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი
გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე

გარიამ დიდებულიძე

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის დირექტორი

თბილისი, 2017 წელი 15/01